რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს. ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 52 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 52

საოლქო კომიტეტი ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა მწუხარებით აუწყებს პარტიის წევრთ და ორგანიზაციებს, რომ შავრაზმელებმა მუხანათურათ მოჰკლეს თავის პარტიულ მოვალეობის ასრულების დროს ჩვენი პარტიის თავდადებული მუშაკი და წევრი ამიერ-კავკასიის სეიმისა ამხანაგი

## ლევან დადეშქელიანი

დაკრძალვა მოხდება დღეს ქალაქ ქუთაისში.

---

ამიერ-კავკასიის სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ფრაქციის წევრის და საუკეთესო პარტიულ მომუშავის

## ლევან დადეშქელიანის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას, თავის რევოლიუციონურ მოვალეობის აღსრულების დროს. დაკრძალვა მოხდება დღეს ქალ. ქუთაისში.

---

თფილისში არსებულ რაჭა-ლეჩხუმის დემოკრატიულ ორგანიზაციათა დამხმარე კომიტეტი ღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგთ, ჩვენთვის დაუვიწყარ ამხანაგის საუკეთესო მებრძოლის

## ლევან დადეშქელიანის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

---

გულდათუთქულნი: მეუღლე მენიკი ეფრემის ასული, დედა ბარბალე, შვილები: რუბენ, მაქსიმენ, შუშანიკა, ევროსია, გოცია, ლიუბა და ლოლია, ძმები: ასალო, ილია, გიორგი და ნესტორ, დიბი: ქრისტინე, პელაგი და ფედოსი, სიმამრი და სიდედრი ეფრემ და ლისა ქლენტები, ცოლის ძმები: დარისმან, მელქისადექი და დათიკო ქლენტები მეუღლითურთ: ნინა, ნატაშა და ანნათი, ცოლის დები: მაშო, ვასასი, ნატაშა და ლიდია ქლენტები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასის

## გერასიმე საყვარელის ძე ჭანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა დ პეტროპავლოვკაში (ბაქოს გუბერნია). ცხედარს წაასვენებენ და დაკრძალვენ ქ. ბაქოში. (1—1)

---

# პური

თფილისის ყველა უბნებში იხსნება განსაკუთრებული პურის გასაყიდი პუნქტები, იმ პირთათვის, რომლებსაც ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები.

ამ პუნქტებიდან პურის მიღება კერძო პირებს შეეძლება მხოლოდ 15 მარტამდე, მანამდე კი აუცილებელია სახლის კომიტეტების არჩევნები ყველგან დასრულდეს.

(3—1) თფ. ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

---

# ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

## ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

**მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.**

---

# დაკარგული ბარათების ხელმეორედ მიღების წესი

1) ყველა ბარათები უნდა ინახებოდეს სახლის კომიტეტთან.

2) თვითეულ ბარათზე, რომელიც კი კომიტეტის ხელში არის, უნდა იყოს და[illegible]ული ამავე კომიტეტის ბეჭედი.

3) დანაკარგ ბარათის სამაგიეროს მიღება ცენტრალურ საბარათო ბიუროსაგან (ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩ. კუთხე) ხდება მხოლოდ სახლის კომიტეტის საშვალებით. ამისთვის საჭიროა კომიტეტმა წარადგინოს განცხადება დაკარგულ ბარათის შესახებ, ბარათის პატრონის პირადობის მოწმობა და სახლის წიგნი; განცხადებაზე ხელს უნდა აწერდეს აგრეთვე უბნის ინსტრუქტორი, ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი კომიტეტი მართლა არსებობს და კანონი[illegible]ადაც არის არჩეული. ამას გარდა განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები რომელ ფურნიდან ღებულობს პურს კომიტეტი.

4) თვითეულ დაკარგულ ბარათის სამაგიეროს მიღებისათვის დამკარგველი იხდის 3 მანეთს, სხვადასხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

5) კერძო პირ[illegible]აგან შეტანილ განცხადებას, (ბარათის დაკარგვის შესახებ), საბარათო ბიურო ა[illegible] ღებულობს.

(3—3) ქალ. სამმარ. განსაკუთრებული სასურსათო საკრებულო.

---

# მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავა[illegible]ვოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილ[illegible]ბი მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვ[illegible]ნ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობ[illegible]“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.

# ფრონტისაკენ

ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი რევოლიუციონური დემოკრატია, დიდი საფრთხის წინაშე სდგას.

[illegible]

რომ რუსეთის დელეგატებმა მაინც გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, როცა მათ ფრონტზე ერთი ჯარისკაციც აღარ მოეპოებოდათ.

დიპლომატები ფიზიკურ ძალას უწევენ ანგარიშს და მათი ზავის პირობები მჭიდროთ შეკავშირებულია ფრონტის სიძლიერესთან.

ტრაპიზონში უკვე დაიწყო საზავო მოლაპარაკება, ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციის წარმომადგენელმა რაუფ ბეიმ ვრცელი დიპლომატიური სიტყვა წარმოსთქვა და მთელი მისი სიტყვის შინაარსი დიპლომატიური შინაარსით და გაუგებრობით არის გაჟღენთილი.

ამ სიტყვიდან დადებითი და გარკვეული დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება. ჩვენ არ ვიცით, რა სურთ კონსტანტინეპოლის დიპლომატებს და რა გვარი ზავის ჩამოგდება უნდათ მათ. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება, საზავო თათბირი საბოლოვო, დემოკრატიული ზავის მომასწავებელი არ არის და მუდამ მზათ უნდა ვიყოთ ბრძოლის გაგრძელებისათვის. ამისათვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფრონტი გავამაგროთ და დემოკრატიის მთელი ძალა აქეთ მივმართოთ.

ფიზიკური ძალა, ფიზიკურის ძალის საშუალებით უნდა დაემხოს, მაგრამ იდეია და შეგნებაც,—ამბობს მარქსი,—იგივე ფიზიკური ძალაა, როცა იგი მასის ხელმისაწდომი გახდება და ფართო დემოკრატია მის გარშემო ამოძრავდება.

სწორეთ ამ ჟამათ მართებს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას სისწორით და ფართოთ შეიგნოს ამიერ-კავკასიის თავდაცვის საჭიროება.

სწორეთ ახლა დადგა ის დრო, როცა ყველა ერის დემოკრატია უნდა დაირაზმოს, შეკავშირდეს და ფრონტზე ძლევამოსილი გამოვიდეს.

ვინ არ იცის, რომ ოსმალეთის დეს-

პოტიზმის ამიერ-კავკასიის საზღვრებში შემოჭრა ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის. ვინ არ იცის, რომ კონსტანტინოპოლის მართველობის აქ გაბატონება დემოკრატიის და მის თავისუფალ მოძრაობას [illegible]

# სოციალისტ-რევოლიუციონერები

[illegible]

ლობის რეზოლიუციებს გაეცნობა, ადვილათ დარწმუნდება, რომ ამ პარტიის წარმომადგენლებს სავსებით შეუთვისებიათ ბალშევიკების აზროვნება, ამიტომ გაუგებარია ის უსამართლობა, რომელსაც სოციალისტ-რევოლიუციონერები ბალშევიკებისადმი იჩენენ: ისინი არა მარტო გმობენ ლენინ-ტროცკის მთავრობას, მის წინააღმდეგ საბრძოლველათაც კი მოუწოდებენ „სოციალიზმის და რევოლიუციონურ დემოკრატიის ყველა საღ ელემენტებს“.

ბალშევიკურ აზროვნობის გავლენა აშკარაა, უპირველეს ყოვლისა, იმ მთავარ საკითხში, რომელმაც ორათ გაჰყო რუსეთის დემოკრატია — სახელდობრ, ომის საკითხში. ამ უკანასკნელმა საკითხმა, როგორც ვიცით, ბალშევიკების მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოაქცია, სხვათა შორის, სოციალისტ-რევოლიუციონერები და ისინიც ბალშევიკების მიერ ათვალწუნებული „ობორონცები“ (თავდაცვის პარტია) გახდენ.

რატომ იყვნენ ბალშევიკები ომის წინააღმდეგ? არა გვგონია დღეს ვისმეს სჯეროდეს ის არაკი ვითომ ბალშევიკების სურვილი ყოფილიყოს რუსეთის დაღუპვა. ბალშევიკებმა ცნობილ „დაძმობილებით“ დაიწყეს თავისი მოღვაწეობა ფრონტზე და შემდეგ ამ „დაძმობილების“ დედა-აზრი სამშვიდობო მოლაპარაკების მთავარ საგნათ წამოაყენეს—ეს იყო ევროპის პროლეტარიატისადმი მიმართვა. ჩვენ ვეტყვით ევროპის მუშათა კლასს, რომ ზავია საჭირო და პროლეტარიატიც აღსდგება თავის მჩაგვრელების წინააღმდეგო.

მარტივი და ლამაზი იყო ეს ოცნება, მაგრამ ცხოვრებამ უკვე ბალშევიკებსაც დაანახვა ამ ოცნების დამღუპველობა და, თუ გაზეთებს დავუჯერებთ, ლენინის მთავრობას საყოველთაო მობილიზაციაც კი გამოუცხადებია რუსეთში და გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა განუზრახავს.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა ამიერ-კავკასიის მეექვსე ყრილობაც გმობს ლენინ-ტროცკის მოღვაწეობას ზავის საკითხში, მაგრამ ბოლოს მაინც ბალშევიკურ მოქმედებას ადგება. აი სიტყვასიტყვით რეზოლიუციის ის ადგილი, რომელიც ამ საკითხს ეხება:

„მეექვსე საგანგებო ყრილობა ს. რ. პარტიისა სურვილს გამოსთქვამს დაუყოვნებლივ ჩამოგდებულ იქნას დემოკრატიული ზავი ოსმალეთთან და ამავე დროს მიმართავს ევროპის დემოკრატიის სოციალისტურ სინიდისს და მოქალაქობრივ გამბედაობას, როგორც ერთათ-ერთს ძალას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს იმპერიალისტურ ევროპაზე ზავის ჩამოგდების დროს. ამის თანახმათ ყრილობა წინააღმდეგია მობილიზაციის, როგორც ისეთის ზომის, რომელიც დღევანდელ პირობებში მიზანს ვერ აღწევს, ხოლო ხალხის მასაში კონტრ-რევოლიუციონურ მიდრეკილებას კი აძლიერებს“-ო და ამ საოცარ და შეიძლება ითქვას, სამარცხვინო რეზოლიუციას წინ უძღვის ასეთი წ[illegible]ნასიტყვაობა: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სახალხო კომისართა საბჭოს გულუბრყვილო პოლიტიკა დაგვირგვინდა გაუგონარი სირცხვილით“ და სხვ.

რითი არ არის გულუბრყვილო თვით სოც. რევ. პოლიტიკა, როცა ისინი მოითხოვენ დაუყონებლივ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას და იმავე დროს მობილიზაციის წინააღმდეგ მიდიან. ვისი იმედი აქვთ? ევროპის დემოკრატიის სოციალისტურ სინიდისის და მოქალაქობრივ გამბედაობის? მაგრამ სოციალისტურ სინდისს, რომ საკმაო ძალა ქონოდა, ხომ სულ არ დაიწყებოდა ეს ომი?

ჩვენ არ გვესმის, როგორ მოხდა, რომ სეიმში სოციალისტ-რევოლიუციონერმა ლორთქიფანიძემ ხან-ხოისკის დაუსვა კითხვა იბრძოლებთ თუ არა ოსმალეთის წინააღმდეგო და მოითხოვა გაევრცელებიათ ხალხში ნოე ჟორდანიას მიერ სეიმში წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ბრძოლის საჭიროებაზე მიუთითებდა. უფრო გასაგებ[illegible]ა, რასაკვირველია ქუთათურ სოციალისტ-რევოლიუციონერების განცხადება: მო[illegible]ილიზაციას იმიტომ უარვყოფთ, რომ „ბათუმის დაკარგვა ქართველ ერს არ დაღუპავს, პირიქით დავისვენებთ, გავმაგრდებით და მომავალზე შემდეგ ვიფიქროთო“.

ასე ვარდებიან ამიერ-კავკასიის სოციალისტ-რევოლიუციონერები ბალშევიკურ აზროვნების ბრჭყალებში და ამას არა თუ არ გრძნობენ, პირიქით, ეომებიან კიდეც ბალშევიკებს. ძალიან საინტერესოა და დამახასიათებელი ერთი საბუთი მობილიზაციის წინააღმდეგ. მობილიზაცია მასაში კონტრ-რევოლიუციონურ სულისკვეთებას გამოიწვევსო. განა დასაშვებია, რომ ხალხი მოსალოდნელ ხიფათს ვერ შეიგნებს და თავის დაცვაზე უარს იტყვის. ცხადია სოციალისტ-რევოლიუციონერებს ადგილობრივ მცხოვრებლებში მიმდევრები არა ყავს, მათი მომხრე ჯარი უკვე მოშორდა მათ როგორც სულიერათ, ისე სივრცეშიც და მემკვიდრეობათ დაუტოვა ბალშევიკური აზრთა არევ-დარევა. აი ამ წყეულ მემკვიდრეობისათვის თავი ვერ დაუხწევიათ ესერებს.

ესერების ულოღიკობა და ფრაზეოლოგია ამით არ თავდება.

ისინი მოითხოვენ შესდგეს ერთგვარი სოციალისტური მთავრობა, მთლათ სეიმის მიერ არჩეული და ამავე დროს არ გვიჩვენებენ, როგორ უნდა მოვექცეთ ამიერ კავკასიის იმ ერებს, რომელთაც სეიმში სოციალისტური წარმომადგენლობა არა ყავთ. თუ ესერების გეგმას მივიღებთ, ბარემ უკეთესი არ იქნება საბჭოების მთავრობა შევქმნათ, ესე იგი ბალშევიკები გავხდეთ.

ასეთივე უსაფუძვლოა და წმინდა ბალშევიკური სოც.-რევ. ყრილობის დამოკიდებულება ეროვნულ საბჭოების მიმართ, მაგრამ ამის განხილვას ჩვენ არ გამოვუდგებით.

საკმაოა ესერების ყრილობის რეზოლიუციებს გაეცნოს კაცი, რომ შეუძლებლათ არ ჩასთვალოს ხმები: ადგილობრივ ესერებში ძლიერდება მემარცხენე ესერების ფრთაო. მემარცხენე ესერები კი ბალშევიკების მაჩანჩალებს წარმოადგენენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ყველა საგანს შესაფერი სახელი ქონოდა.

# პრესა

„სახალხო საქმე“ ასე აგვიწერს ჩვენს „საბედისწერო მდგომარეობას“-ს აჭარაში:

„მეტად გართულებულია მდგომარეობა სარიყამიშ-ოლთისის ხაზით, არავინ უწყის დღევანდელი და ხვალინდელი ცნობა ამ ხაზის შესახებ რა ცნობას მოგვიტანს, მაგრამ კიდევ უფრო საზარელი ცნობები მოგვდის სამაჰმადიანო საქართველოს მხრიდან. საქართველოს კულტურის აკვანი საარაკო სფინქსად გადაიქცა ამ ბოლო დროს...

„სამწუხარო დეპეშა კი აი რას გვატყობინებს: აჭარაში მოდიან შეიარაღებული რაზმები ახალციხიდან, მოდიან რაზმები შავშეთიდან, ქედაში შემდგარა რამდენიმე ათასი აჭარელდა შეიარაღებული ჯარი და მოითხოვს აჭარის წყლიდან ქართველობის ჯარის გაყვანას“.

რამ გააკვირა „სახალხო საქმე“? განა ის ყორანივით არ დასჩხაოდა რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე დემოკრატიის ერთობას, განა მას თავის დროზე არ ახარებდა ის, რომ „შავი ზღვის ფლოტი უკრაინის დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველათ“ მზათ იყო. „სახალხო“-ს აუსრულდა ნატვრა და რუსეთი დაიშალა. დღეს იგივე პროცესი იწყება ჩვენშიაც. განა „სახალხო საქმე“ ყოველ ნომერში არ ქადაგებს სეიმის დაშლის საჭიროებას და ეროვნებებათ დარაზმვას. რათ უკვირს ახლა, თუ აჭარლებიც „ეროვნულათ“ ფიქრობენ მოწყობას? სახალხო ფიქრობს ასეთი ლათაიებით მიიმხროს აჭარლები: „ჩვენი ქვეყნის ეს თვალმარგალიტი ქართველობის ზრუნვის საგანი იყო მუდამ, ქართველობის რჩეული შვილები ამ ქვეყნის ბედნიერებას ფიქრობდენ ყოველ წუთს“-ო და სხვა, ე. ი. ჩვენა და აჭარლები ძმები ვართო. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ძმები ვართ ჩვენ და აჭარლები, მაგრამ არა აჭარლები საერთოდ, არამედ იქაური დემოკრატია. ეს დემოკრატია კი სუსტია და ამიტომ ბრმათ მიყვება სწორეთ იმათ, ვინც ჩვენებურ ფედერალისტების ჰანგებზე მღერიან.

ამიტომ ვთვლით ჩვენ ფედერალისტებს ხალხის მტრებათ და არა იმიტომ, ვითომ ჩვენ მათი განიავება გვინდოდეს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „სახალხო საქმე“-ს იმაში, რომ

„სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოქმედება დღესაც მომწყვდეულია ვიწრო კალაპოტში“.

და ამიტომ ჩვენ ვებრძვით არა ამ „ვიწრო კალაპოტში“ მომწყვდეულ პარტიას, არამედ იმ დამღუპველ აგიტაციას, რომელსაც ეს პარტია აწარმოებს. ეს პარტია დღესაც „ამ სისხლის წვიმების დროსაც“ თუთიყუშივით იმეორებს ერთხელ გაზეპირებულ ფრაზე[illegible]: „თუ გსურთ სამშობლოს და დემოკრატიის ინტერესების დაცვა უნდა ჯერ ეროვნული საკითხი გადასჭრათო“ და დარბაისლურათ გვასწავლის: „სოციალდემოკრატიული მთლიანობა თვით ამიერ-კავკასიის მთლიანობის საქმეს დაღუპავს, აქ საქმეს გამოაბრუნებს მხოლოდ და მხოლოდ ფედერატიული მთლიანობაო“. გამოდის, რომ ჩვენ ფედერაციის წინააღმდეგი ვართ. ნამდვილათ კი ჩვენ წინააღმდეგი ვართ დღევანდელ პირობებში პირველ საკითხათ ეროვნულ საკითხის წამოყენების, რადგან დღეს ჩვენ გვიშველის ამიერ-კავკასიის ყველა ერების დემოკრატიის ერთობა. ვინც ამ ერთობას ხელს უშლის, ის ხალხის მტერია.

* * *

ამიერ კავკასიის საოლქო ცენტრის ორგანო „იზვესტია“ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წლის თავზე იგონებს რევოლიუციის ამ ძლიერ ორგანოს წარმოშობის ამბავს, მის მოღვაწეობას რევოლიუციის საქმეში და მის მომავალ მოღვაწეობის შესახებ სწერს:

„გავიდა წელიწადი. მაგრამ საბჭოს როლი არა თუ არ დასრულებულა, არამედ პირიქით დღეს საბჭოს არსებობა უფრო საჭიროა, ვინემ სხვა რომელიმე დროს. დიდი განსაცდელი მოგველის ჩვენ ახლო მომავალში. რევოლიუციაც და ჩვენი ქვეყანაც განსაცდელის კარზე დგანან.

როგორც რევოლიუციის პირველ

ხანებში, ისე დღესაც, ამ საბედისწერო ჟამს, თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო დემოკრატიის სათავეში უნდა იდგეს.

უფრო საიმედო და ერთგული ხელმძღვანელი ამიერ კავკასიის დემოკრატიას სხვა არავინა ყავს.

გაუმარჯოს სახელოვანს თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს".

სარევოლიუციო ორგანიზაციების ძალას კარგათ გრძნობენ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები და სწორეთ ამიტომ ასე ერთ ულოვნათ ესხმიან მათ თავს ყოველი მხრიდან.

## კავკასიის ფრონტი

გერმანელების ცნობით, რომელიც, რადიო-ტეპეშით არის გაგზავნილი 2 მარტის თარიღით, კავკასიის ფრონტზე საქმის ვითარება ასეთია:

ოსმალთა ჯარებმა არზრუმის აღების დროს დიდძალი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში.

სომხებს დაეხოცა 2 ათასზე მეტი კაცი. ვინც ცოცხალი გადარჩა, გასან-კალისაკენ დაიხია.

შავი ზღვის ნაპირად ოსმალთა ჯარები უახლოვდებიან სახელმწიფოს ძველ საზღვრებს.

ტრაპიზონში ხელში ჩაიგდეს 82 ზარბაზანი, არზრუმში 232 ზარბაზანი დადიდძალი სამხედრო მასალა.

მამახათუნში მტერს წაართვეს ოსმალებმა 18 ნალმის მსროლელი

## საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

საზავო დელეგაციის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელისაგან ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ ევ. გეგეჭკორმა დეპეშით 4 მარტს ტრაპიზონიდან შემდეგი ცნობები მიიღო:

**ოსმალეთის დელეგაციის წინადადება.**

„ოტტომანის საიმპერატორო მთავრობის დელეგაციას პატივი აქვს განაცხადოს, რომ მის მთავრობას წრფელი სურვილი აქვს დაამყაროს კეთილ მეზობლური განწყობილება იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ეხლა სდგება ამიერ-კავკასიაში. ოტტომანის დელეგაცია სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას გარკვევით გააცნოს მას აღნიშნული რესპუბლიკის პოლიტიკური და ადმინისტრატიული ორგანიზაციის ფორმა და ეკითხება შესრულა თუ არა მან ის პირობები, რომლებსაც მოითხოვს რესპუბლიკის გამოცხადების დროს საერთაშორისო უფლება".

**ჩვენი დელეგაციის პასუხი.**

„ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ორგანიზაციის ფორმა მორიგ საკითხათ აქვს დასმული ერთადერთ სრულ-უფლებიან ორგანოს, ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელიც შესდგა მთელი ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფალ ნებით, საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე.

იმ წუთიდან, რაც ბალშევიკების მიერ რუსეთში გადატრიალება მოხდა (25 ოქტომბერს 1917 წ.) ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე შესწყდა რუსეთის ცენტრალურ მთავრობის მოქმედება და შესდგა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც ეხლა პასუხისმგებელია სეიმის წინაშე. ამიერ-კავკასიის მთავრობამ საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში შესდგა ფეხი, მიიღო რა ოტომანის მთავრობის წინადადება დაეწყო მასთან ზავის ჩამოსაგდებათ დამოუკიდებლათ მოლაპარაკება. შემდეგ სეიმმა და მთავრობამ ამ მხრით ნაბიჯი გადასდგეს, მებრძოლ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებს საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეთ, ბრესტ-ლიტოვსკში შეკრულ ზავის და იმ ხელშეკრულობის გამო, რომელიც მათ შეუტყობინებლათ მოხდა და ის სცნეს ყოველგვარ საერთაშორისო უფლებას მოკლებული და მათთვის არა სავალდებულო, ეხლანდელი ტრაპიზონის კონფერენცია აგრეთვე არის საერთაშორისო უფლებრივ ცხოვრების აქტი. ამგვარათ ამიერ-კავკასია, ფაქტიურათ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა მას ამის შესახებ დეკლარაცია არ გამოუცია და სახელმწიფოებისთვის ნოტა არ გაუგზავნია დამოუკიდებლობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია დიდის სიამოვნებით აღნიშნავს ოტომანის მთავრობის წრფელ სურვილს დაამყაროს კეთილ მეზობლური განწყობილება ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიის შორის და კმაყოფილი, იმედს აცხადებს, რომ საზავო კონფერენცია კეთილათ დაგვირგვინდება".

**ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის რაუფ-ბეის სიტყვა.**

„ვმადლობ ზეცას, რომ მე შეძლება მომეცა მივმართო ჩემი მთავრობის და ამხანაგების სახელით ამიერ-კავკასიის პატივცემულ ერთა წარმომადგენლებს, იმ კავკასიის, რომელიც მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ თანდათან წინ მიდის დამოუკიდებლობის გზაზე. მე ამ შემთხვევას ვოვლი უდიდესად სასიხარულო შემთხვევათ მთელ ჩემ სიცოცხლეში. დღეს თქვენი სახით სალამს ვუძღვნი იმ მხარეს, არა დიპლომატიურ ტრადიციის გამო, არამედ—სულითა და გულით ვგრძნობ თქვენს პატივისცემას და ჩემი წრფელი სურვილია ხელი შევუწყო იმ წმინდა საქმეს, რომლისთვისაც თქვენ აქ მოსულხართ. რადგან წარსული ორასი წლის განმავლობაში ჩვენ ვაწარმოებდით მეფის მთავრობის წინააღმდეგ ომს და ეს ომი იყო თავდაცვითი, მე მგონია ჩვენი საერთო ბედი გვაერთებდა ჩვენ ამ ხნის გამნავლობაში. მე მრწამს, რომ ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, მეფის მთავრობის დამხობა, რომელიც ჩვენ გვაშორებდა, უფრო დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე რომელიმე დიპლომატიური გამარჯვება; რადგან ჩვენი კავშირი იყო ნათესავური, რომელიც ჩვენი საერთო წარსულიდან გამომდინარეობს. ამიტომაც არის, რომ ოსმალეთის და კავკასიის ერები ერთი სარწმუნოებების და ეროვნების არის და ერთი და იგივე ისტორია აქვს. ამ გრძნობით აღფრთოვანებული ვუსურვებ ჩვენ თათბირს ნაყოფიერ მუშაობას და ვხსნი კრებას".

**ა. ჩხენკელის სიტყვა.**

ამიერ-კავკასიის სეიმის დელეგაციის სახელით გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ოსმალეთის მთავრობის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარეს, იმ მისალმების სიტყვისთვის, რომელიც მან ეხლა აქ წარმოსთქვა, მივესალმები აგრეთვე ოსმალეთის დელეგატებს. მე განსაკუთრებულ სიხარულს ვუცხადებ ოტტომანის მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარეს უკანასკნელ სიტყვების გამო, რომლითაც ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მან დელეგატებს და განაცხადა, რომ მოლაპარაკებას საფუძლათ ის უდებს გულწრფელობას. ამიერ-კავკასიის დელეგაცია განსაკუთრებული ნდობით უყურებს ამ სიტყვებს, მით უმეტეს, რომ ამ ორ ქვეყნებ შორის მეგობრულ დამოკიდებულების ჩამოსაგდებათ ინიციატივა თვით ოტტომანის მთავრობას ეკუთვნის; რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ერებს, მათ სეიმის პირით გულწრფელი სურვილი გამოსთქვეს დაამყარონ ოსმალეთთან წრფელი, მეგობრული დამოკიდებულება.

თუ თქვენ ინებეთ და სთქვით, რომ განსაკუთრებულათ სთვლით იმას, რომ შეძლება მოგეცათ ჩვენთვის სალამი გეძღვნათ, ნება მომეცით ვსთქვა, რომ ჩვენ ეს უფრო მეტათ გვეთქმის, რადგან ჩვენ პირველათ გამოვდივართ სრულუფლებიანი სეიმის სახელით საერთაშორისო დამოკიდებულების გზაზე: ამიერ-კავკასიის თავისუფალი ერი, რომელმაც ხელში აიღო საკუთარი ბედის გადაწყვეტის საქმე, შესძლებს დაიცვას მთელი მხარის ინტერესები, და არამც და არამც არ დაარღვევს მეზობელ ერთა ინტერესებს. ერთხელ კიდევ მოგესალმებით და ვიტყვით ისე, როგორც თქვენ: ჩვენ არა თუ ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ ჩვენ კონფერენციას, არამედ—მთელი ენერგიით ვეცდებით ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის ერთა შორის წრფელი და მეზობლური დამოკიდებულება დავამყაროთ".

## ირაკლი წერეთლის მოხსენება

თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 3 მარტის სხდომაზე ამხ. ირაკლი წერეთელმა შემდეგი მოხსენება გააკეთა ზავის საკითხის შესახებ:

ამხანაგებო! კავკასიის დემოკრატიის წინაშე დღის წესრიგში დგას საკითხი ზავის შესახებ, რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია რევოლიუციის ბედი. ამ საკითხის გადაჭრა კავკასიის დემოკრატიას უხდება განსაკუთრებულ პირობებში, თავის საკუთარ პასუხისმგებლობით, და ბალშევიკურ რუსეთის სამწუხარო გამოცდილების შემდეგ. კავკასიის დემოკრატიამ უნდა გადასჭრას ეს საკითხი თანამებრძოლ დემოკრატიის დამარცხების შემდეგ და შეიძლება მან ამ შემთხვევაში ითამაშოს გამომფხიზლებელის როლი დამარცხებულ რუსეთის დემოკრატიისათვის. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რამაც რუსეთი მიიყვანა დამარცხებამდე, თუმცა ეს დამარცხება, ჩემის ღრმა რწმენით დროებითია.

რუსეთის რევოლიუციაში დემოკრატიის მატერიალური და მორალური ძალები შეერთდა და სანამ დაცული იყო საერთო სახალხო ფრონტის მთლიანობა, სანამ არსებობდა შეგნება—ჯარიც იდგა ფრონტზე და იცავდა რუსეთს, შიგნიდან კი მხარს უჭერდენ ჯარს რევოლიციის მონაპოვართა განმტკიცებით. ამ გზით რევოლიუცია შესძლებდა თავის დაცვას და არსებობას იმ დრომდე, როცა დასავლეთ ევროპაში დაიწყებოდა მუშათა კლასის მოძრაობა და საშინელ სისხლის ღვრას ბოლო მოეღებოდა. და ბალშევიკების შეცდომაც იმაშია, რომ ისინი სიტყვით მოუწოდებდენ სხვა ქვეყნების პროლეტარიატს და ამავე დროს საქმით ფეხიდან ნიადაგს აცლიდენ რუსეთის დემოკრატიას, არღვევდენ მის მთლიანობას და მატერიალურ ძალასთან ერთად მოსპეს რევოლიუციის მორალური შარავანდედიც, მათ ფეხქვეშ გასთელეს ყველა დემოკრატიული თავისუფლებები დაწყებული მოქალაქობრივ თავისუფლებიდან, გათავებული დამფუძნებელი კრებით. და თუ გერმანიის იმპერიალისტური მთავრობა დასთანხმდა საზავო მოლაპარაკებას, ეს იმიტომ, რომ ხელი შეეწყო ბალშევიკებისთვის რუსეთის დაშლის საქმეში. როცა ცალკე სამხედრო ნაწილებს მიეცათ ზავის შეკვრის და შინ წასვლის ნება, აშკარა შეიქნა, რომ ფაქტიურათ ძალთა განწყობილება შეიცვალა გერმანიის იმპერიალიზმის სასარგებლოთ და მან უკარნახა რუსეთს ისეთი პირობები, რომელიც ხდის მას (რუსეთს) ფინანსიურ კაპიტალის მონათ და თუ სოციალისტურ ელემენტების გაძლიერების ნაცვლათ სხვა ქვეყნებში ჩვენ მივიღეთ სრული გამარჯვება იმპერიალიზმისა, ეს იმიტომ, რომ რევოლიუციამ დაჰკარგა მორალური შარავანდედი ანარქიისა და სამოქალაქო ომის გამო.

საზავო მოლაპარაკების დროს ჩვენთან პეტროგრადში მოვიდა გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. დელეგაცია. დელეგაციის წევრებმა მიმართეს ყველას, მიმართეს ბალშევიკების მთავრობასაც. ისინი ამბობდენ, ჩვენ კარგათ ვიცნობთ გერმანიის მუშათა კლასს და იმ პირობებს, რომელშიაც მას უხდება მოქმედება; მართალია, მუშათა მოძრაობა გერმანიაში ძლიერდება, მაგრამ, დაგვერწმუნეთ, სანამ არსებობს ომი, გერმანიაში რევოლიუცია შეუძლებელია. ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა, სანამ არ დაიწყება საერთო საზავო მოლაპარაკებაო.

მაგრამ ბალშევიკების მთავრობამ უპასუხა მათ: თქვენ მუშათა კლასის ზედა ნაწილი ხართ; ჩვენ დავასამარეთ ჩვენი „ობორონცები", თქვენც დაგასამარებს გერმანიის პროლეტარიატიო. და ბალშევიკების მთავრობა განაგრძობდა თავის პოლიტიკას იმ იმედით, რომ გერმანიაში სასწაულები მოხდებოდა.

დამოუკიდებელ სოც.-დემოკრ. მოიხადეს თავის მოვალეობა. ისინი თავის ძალებით გადაეშვენ ბრძოლაში არა მაშინ, როცა ამას მოითხოვდა საქმის მდგომარეობა თვით გერმანიაში, არამედ მაშინ, როცა ეს ბალშევიკებისთვის იყო საჭირო, მაგრამ ისინი დამარცხდენ და გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ გერმანიაში და რუსეთში. მსოფლიო დემოკრატია სუსტი აღმოჩნდა: საფრანგეთში ყველაზე უფრო შოვინისტური პარტია კლემანსოს მეთაურობით ჩაუდგა მთავრობას სათავეში, ინგლისში ლლოიდ-ჯორჯს არასოდეს არ უგრძვნია ასე ძლიერათ თავის თავი. ამნაირათ, ბალშევიკების გამოსვლამ ზარალი მოუტანა საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას.

როცა ტროცკი ჰეგელის წიგნიდან ამოღებულ ციტატებით, რომელიც გადმოთარგმნილია გერმანულიდან, ასწავლიდა გერმანელ ამხანაგებს, თუ რა უნდა ექეთებიათ მათ, რუსეთი ამ დროს წარმოადგენდა იმის სურათს, თუ რა არ უნდა ექეთებიათ მათ, გერმანელ ამხანაგებს.

კავკასიის დემოკრატიამ უნდა მიიღოს ყოველივე ეს მხედველობაში. პეტროგრადი უკვე აიღეს გერმანელებმა. რიგის აღების დროს ქალაქში პირველათ შემოვიდა 10 გერმანელი ჯარისკაცი. ბალშევიკების გაზეთები ამის გამო სწერდენ: დახეთ, გერმანიის ჯარი უარს აცხადებს შემოტევაზე, რიგაში მხოლოდ 10 კაცი შემოვიდაო. ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ მცირე ჯგუფები იბრძვიანო. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს არ არის ასე. პეტროგრადში 2.800 კაცი შემოსულა. და რომც მართალი იყოს ბალშევიკების მტკიცება, ვთქვათ, რიგაში მხოლოდ 10 კაცი შემოვიდა, მერე რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მორალურათ დამარცხებულია, როცა მას 10 კაცი სჯობნის. და პეტროგრადი ასე ადვილათ არ დაეთმობოდა გერმანელებს, რომ შიგნით, დემოკრატიის შორის სამოქალაქო ომი არ არსებობდეს. დღეს რუსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს და გერმანელები განაგებენ მას, როგორც თავის კერძო საკუთრებას. თუ ეს ასე გაგრძელდა, საერთაშორისო პროლეტარიატის რაზმიდან გამოირიცხება ერთი მისი საუკეთესო ნაწილი—რუსეთის პროლეტარიატი.

და დღეს ჩვენ არ გვყავს თანამებრძოლი, რომელთან ერთად მოვახდინეთ თებერვალის რევოლიუცია. ჩვენ, თქვენი ცალკე ხელმძღვანელები ვგრძნობდით რუსეთში, თუ რა კრიზისი მოგველოდა ანარქისტულ სულიერ განწყობილებისა და დემოკრატიის გათიშვის გამო. ჩვენ ვამბობდით, კავკასიის დემოკრატია რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ცხოვრობს, მასთან ერთად იბრძოლებს იგი ამჟამათაც, მაგრამ თუ შემცდარ ნაბიჯების გამო აქ დემოკრატია დამარცხდა —ჩვენ გვწამს, რომ ეს დამარცხება დროებითი იქნება—თუ აქ წითელი დროშა დაეშვა ძირს, კავკასიაში იქნება ის პოზიციები, საიდანაც რევოლიუცია გაუმკლავდება მოწინააღმდეგეებს უკანასკნელ ბრძოლას (ტაში). და დღეს, როცა იქ, რუსეთში არსებობს გარეშე საფრთხე და ასეთივე საფრთხე მოგველის ჩვენც, კავკასიის დემოკრატიამ, უნდა შეასრულოს თავის ვალი, მან უნდა შეინარჩუნოს მატერიალური ძალა და მორალური შარავანდედი და მოწინააღმდეგეებს შეებრძოლოს იმ პოზიციებიდან, რომელიც ჩვენ დღემდე არ მიგვიტოვებია და რომელთა დატოვებამ იქ, რუსეთში დამარცხება გამოიწვია. აქ არ დარღვეულა რევოლიუცის საერთო სახალხო ხასიათი. მშრომელი მასსა იბრძვის დემოკრატიულ მიზნების განსახორციელებლათ. აქაც აქვს ადგილი ანარქისტულ გამოსვლებს, მაგრამ აქ დაცულია მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა კლასების ერთობა, რევოლიუციონურ მიზნების ერთი და იგივეობა.

საშინელი საფრთხე გვიახლოვდება, ოსმალეთის იმპერიალისტები ევროპის იმპერიალისტების დახმარებით ცდილობენ გაგვანადგურონ ისე, როგორც გაანადგურეს ბალშევიკები გერმანელმა იმპერიალისტებმა და თავის მიზნის მიღწევას აპირებენ იმავე გზით, რა გზითაც მოქმედებდენ გერმანიის იმპერიალისტები: სწარმოებს სამშვიდობო მოლაპარაკება, რომლის წინადადება თვით მოგვცეს, მაგრამ ამავე დროს ცდილობენ ჩვენ დაგვაყენონ განსაზღვრულ ოლქების დაპყრობის ფაქტის წინაშე. მაგრამ არის განსხვავებაც. კავკასიის დემოკრატიის, მუშათა კლასისა და გლეხობის შორის კიდევ არსებობს რწმენა რევოლიუციის გამარჯვების შესაძლებლობისა, აქ უმცირესობა არ ფიქრობს თავის დიქტატურა მოახვიოს თავზე უმრავლესობას, აქ საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს მთავრობა, რომელიც ეყრდნობა მცხოვრებთა უმრავლესობას. იქ კი, რუსეთში ასე არ იყო, იქ უმცირესობამ მოინდომა თავის სურვილები მოეხვია თავზე უმრავლესობისათვის, ამან გამოიწვია ექსცესები, ცალკე ნაწილების, უკრაინის, ციმბირის, დონის ჩამოშორება. აქ მოსახლეობენ სხვადასხვა ერები, მაგრამ დემოკრატიამ თავიდანვე სწორი პოზიცია დაიჭირა და ამის გამო შესაძლებელი გახდა სამოქალაქო ომის თავიდან აშორება. და სანამ არსებობს ეს ერთობა, არის იმედი, რომ შევინარჩუნებთ როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ძალას.

ორი დიდი პრინციპი წამოაყენა თებერვლის რევოლიუციამ; საერთო დემოკრატიულ მიზნების განხორციელება და ერთა თვითგამორკვევა. და სანამ არსებობს ცენტრი, რომელიც ამ პრინციპების გარშემო აერთიანებს კავკასიის დემოკრატიას, შესაძლებელია როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან თავის დაცვა. და ახლა, როცა იმპერიალისტური ძალა ისეთივე ცდას ახდენს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც იქ, რუსეთში, განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ იმ პრინციპებს, რომელთა თანხმათ მოქმედებამ აქ რევოლიუცია დაიცვა. სწარმოებს სამშვიდობო მოლაპარაკება. მაგრამ თუ ამავე დროს არ გვეყოლა ძლიერი ძალა, დამარცხდება ყველა ჩვენი მისწრაფებანი და კავკასიის დემოკრატია მოექცევა იმ უღლის ქვეშ, რომლიდანაც განთავისუფლდა რუსეთში. ნურავითარი იმედი ჩვენს გარეშე ნუ გვექნება. და თუ შევქმენით რეალური საფუძველი ჩვენი იდეალებისათვის, თუ მოვიგერიეთ ოსმალეთის პირველი იერიში—ეს შეიძლება პირველი საბაბი იქნეს რუსეთის დემოკრატიის გამოფხიზლებისა. ამით ჩვენ დავანახვებთ რუსეთის დემოკრატიას, თუ სად არის მიზეზი მისი დამარცხებისა და ეს იქნება სტიმული მისი აღორძინებისა და შეიძლება ამ გარემოებამ ითამაშოს დიდი ისტორიული როლი, ვინაიდან ობიექტიური პირობები უკვე მომწიფდა და მალე დაიწყება რეალური ბრძოლა იმპერიალისტურ წრეების წინააღმდეგ. აქ რომ მათ მოახერხონ ჩვენი მორალური ძალის განადგურება—აქ, კავკასიაში ეს იქნებოდა დემოკრატიის უკანასკნელი საათი. რუსეთში არის დიდი ძალა, მრავალრიცხოვანი ხალხი შესძლებს კრიზისის გადატანას, მაგრამ აქ, კავკასიაში, რომელსაც არა აქვს მტკიცე ეკონომიური დასაყრდნობი, სახელოვან კავკასიის დემოკრატიას სამუდამოთ დაესმებოდა ჯვარი.

ჩვენ ვიცით, თუ რა სასწაულს ახდენდენდა კავკასიის მუშათა კლასი, როცა ნაციონალისტები ცდილობდენ თოფის წამლის სასყობში ნაპერწკლის გადაგდებას—ერთა შორის ხოცვა-ჟლეტის გამოწვევას. მაგრამ მუშათა კლასი ყოველთვის ახერხებდა მასსის გამოფხიზლებას და ძირშივე სპობდა ნაციონალურ შუღლს და მტრობას. ოქტომბრის დღეებშიაც, როცა რუსეთში გამეფდა ხიშტის დიქტატურა, აქ, ჩვენს პატარა მხარეში არ დარღვეულა რევოლიუციონური წესრიგი. ჩვენ ვიცოდით აგრეთვე, რომ საფრთხე იყო მოსალოდნელი ფრონტიდან წამოსულ სტიქიურ ძალის მხრით, მაგრამ შეკავშირებული ძალით შესაძლებელი გახდა ქვეყნის გადარჩენა და თვალს რომ გადავავლებთ ამ გავლილ გზას, შეგვიძლია იმედით შევყურებდეთ მომავალსაც. სანამ კავკასიის დემოკრატიას სათავეში უდგას მუშათა კლასი, რომელმაც იცის, თუ რა უნდა განახორციელოს დღეს, მანამდის არის იმედი დიდ დაბრკოლებათა ძლევისა.

დღეს მესამე—და, ვიტყვით, უკანასკნელი საფრთხის წინაშე დგას კავკასიის დემოკრატია. მე მწამს, რომ ამ განსაცდელსაც აიტანს კავკასიის დემოკრატია და თუ მოვახერხეთ და გარეშე მტერს დავუპირდაპირეთ ორგანიზაციული ძალა, ჩვენ ვიხსნით არა მარტო კავკასიის დემოკრატიის სახელს, არამედ ვიქნებით პირველი მიზეზი რუსეთის დემოკრატიის გამოფხიზლებისა და შეიძლება ეს გამარჯვება იქნეს წინამორბედი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიო დემოკრატიის გამარჯვებისა. (ხანგრძლივი ტაში).

## ახალი ამბები

**მიმავალი ეშელონები.** უკანასკნელი კვირის განმავლობაში ფრონტის სხვადასხვა ადგილებიდან მე-300 ვერსზე ათამდე ეშელონმა მოიყარა თავი. ეს ორი დღეა (3—4 მარტი) მზადებაა ამ ეშელონების ერთად გასაგზავნათ. ისინი ჩვეულებრივათ რუსეთში წავლენ ბაქოს გზით ბალაჯარიდან. ამ ეშელონებს ბლომათ მიყვებიან რუსეთში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურე რუსები. უკანასკნელათ ემჩნევა, რომ რკინის გზის ბევრი მოსამსახურე სამსახურს სტოვებს და რუსეთისაკენ მიეშურება.

**მ. აბულაძე.** როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან ამხანაგს მარცხათ გასროლილ ტყვით მოუკლავს მ. აბულაძე (მ. როკითელი).

**სამხედრო-საზღვაო კომისარმა** ბრძანება გასცა, რათა შეჩერებულ იქნას დაბა ცხინვალში ოსების პოლკის შედგენა, ვიდრე სეიმი გადასწყვეტდეს საკითხს ჯარების ტერიტორიალური პრინციპის საფუძველზე მოწყობის შესახებ.

**ნაძარცვი საქონლის საწყობი.** ამას წინათ მოხალისე გურულების რაზმის ნაწილი გაიწვიეს მე-7 უბანში, სადაც სამხედრო საწყობს გაუჩნდა ცეცხლი. გურულებმა შენიშნეს, რომ საწყობისთვის ცეცხლი განზრახ წაეკიდებიათ და საერთოდ ეს უბანი ბევრ რამ საიდუმლოს შეიცავს. ამიტომ მათ გაჩხრიკეს ახლო-მახლო ეზოები. ერთ ეზოში აღმოაჩინეს ღრმა თხრილი, რომელიც სავსე იყო ნაძარცვი საქონლით: ხალიჩებით, თუჯის და სხ. ჭურჭლეულობით. სხვათა შორის აღმოაჩინეს ერთი ფუთი ვერცხლი. ყველა ეს ნივთები ტ აგრეთვე ეზოს პატრონი გადასცეს მე-7 უბნის კომისარს.

**ხარფუხის სკოლას** ახლო-მახლო მცხოვრებნი ანგრევენ და ანადგურებენ. მესერი სულ მთლათ შემოაცალეს და ახლა კედლებს დაუწყეს ნგრევა, მიაქვთ აგურები და ჰყიდიან. საჭიროა მცხოვრებთა შეგნებულმა ნაწილმა მიიღოს ზომები შენობის დასაცავათ.

**ხაშურის ქალაქის გამგეობა** 50 ათას მან. სესხს სთხოვს ქალაქთა კავშირის გამგეობას ქალაქის ხარჯების დასაფარავათ. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს შეისყიდონ ადგილობრივი ელექტრონის სადგური და ვეზიროვის წისქვილი.

**ლაზარეთის დახურვა.** როგორც ბათუმის თვითმართველობა იტყობინება არსებულ მდგომარეობის გამო სოფ. ხულოს (აჭარა) საავათმყოფო დროებით დაუხურავთ.

**ეჩმიაძინიდან** ქალაქთა კავშირს ატყობინებენ, რომ მცირე მოსამსახურეთა ჯარში გაწვევამ, ფულის ნაკლებლობამ და სხვა მიზეზებმა აუტანელი გახადა მუშაობა.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

— დღეს, 6 მარტს, საღამოს 5 საათზე მე-3 მომრიგებელ სასამართლოს ბინაზე, რომელიც იმყოფება ტურგენევის ქუჩაზე, დანიშნულია მე-9 უბნის სახლის კომიტეტების თავმჯდომარეთა კრება. დღის წესრიგშია: სურსათის საქმის მოწესრიგება, თავდაცვის საკითხი.

— დღეს, 6 მარტს საღამოს 4 საათზე მეექვსე ვაჟთა გიმნაზიაში (უდელის ქუჩაზე № 3) დანიშნულია მეოთხე რაიონის სოციალ-დემოკ. პარტ. წევრების ქალთა კრება. შეუძლიათ დაესწრონ არა წევრებსაც.

## ლევან დადეშქელიანის მოკვლის გამო

(სამგლოვიარო წერილი და დეპეშები).

**ოზურგეთი.** გურიის ს. დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტი გულის სიღრმემდი აღშფოთა ძვირფას ამხანაგის და თავდებულ მებრძოლის ლევან დადეშქელიანის მოკვლამ. ზიზღი და წყევლა-კრულვა მხეცს, რომელმაც თავის მურტალიანი ხელებით გასწყვიტა. ლევანის მშრომელ ხალხისთვის აძგერებული გულის ძარღვი.

პრეზიდიუმი.

---

**ხონი**—ღრმათ აღვაშფოთა სეიმის დეპუტატის, ძვირფას ამხანაგ ლევან დადეშქელიანის ვერაგულათ მოკვლამ. გულწრფელი თანაგრძნობა მთელ დემოკრატიას და ლევანის დამწუხრებულ ოჯახს.

ხონის. ს. დ. კომიტეტი.

---

ჭეშმარიტად დიდი დანაკლისია დემოკრატიისთვის ამხ. ლევანის დაკარგვა. ჩვენ ლევანის იდეურ ამხანაგებს ვერ წარმოგვიდგენია, რომ ის აღარა გვყავს.

ნუ თუ ამხანაგ ლევანს ქუთაისის გუბერნიაში სასიკვდილოდ ხელი შეახო ვინმემ? ვინ გაბედა მისი ხელის შეხება? ვის უნდოდა მისი სიკვდილი? ვინ იყო მისი მტერი?—დემოკრატიამ კარგათ იცის ვინ იყო ლევანის მტერი—ჟანდარმერია და პოლიცია. ყაჩაღები, ჯიბგირები და მძარცველები. ლევანი ჩვენთვის არ მომკვდება, მხოლოდ საუკუნოთ აღიგვება დედა მიწის პირისაგან ლევანის მკვლელები. შენ ჩვენთვის ცოცხალი ხარ, ამხანაგო ლევან.

გ. გუბელი.

---

რამოდენიმე დღის წინათ ნაცნობებმა მითხრეს: ბიჭო, ლეჩხუმში ხულიგანური გამოსვლები და არეულობა ყოფილა და ვგონებ ლევანც მოუკლავთო, აბა მე სულელო ლევანს ეხლა ვინ მოკლავს და ისიც ლეჩხუმშითქო, ვუპასუხე და არას გზით არ დაუჯერე, ხოლო როდესაც წავიკითხე გაზეთ „ერთობის" 2 მარტის ნომერში შავ ხაზებში დაბეჭდილი საყვარელი ლევანის სახელი, მაშინ კი ელდა მეცა, გრძნობა დამეკარგა. დავიწყე წერილის კითხვა, მაგრამ ცრემლებმა დამახრჩო, ვეღარ შევსძელ, არ მინდა დაუჯერო სიტყვებს, არ მინდა დავრწმუნდე, რომ ეს მართალია, მაგრამ აბა სად უნდა გავექცე დაწყევლილ სინამდვილეს.

ლევანი მოკლეს, ლეჩხუმში, იმ ლეჩხუმში, რომლის სულის ჩამდგმელიც მხოლოთ ლევანი იყო, ლევანი მოკლა იმ მურტალმა და უგნურმა მხეცმა, რომლის გამოფხიზლებისთვის სძგერდა მისი გული. ლევანი მოჰკლეს სწორეთ იმ დროს, როდესაც მისი სიცოცხლე მეტათ საჭირო იყო მთელი დემოკრატიისთვის და კერძოთ კი ლეჩხუმის მშრომელი ხალხისთვის. ლევანის პირადი და პოლიტიკური ღირსების დაფასება ჩემისთანა პატარა კაცებს არ ძალუძს. მრავალ სხვა ღირსებებთან უნდა აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ ლევანს, როგორც ბრწყინვალე თავადს და დიდს მემამულეს შეეძლო ეცხოვრა განცხრომით და განკერძოებულათ, მაგრამ მან ეს არ ისურვა და დემოკრატიას გამოუცხადა ძმობა და ამხანაგობა, მანვე შესძლო სრულიად განშორებოდა მივარდნილ, მიყრუებულ ისეთ სოფელს, როგორიც არის ლეჩხუმი და ეცხოვრა თფილისში და სხვა ალაგებში. მაგრამ მან, როგორც დიდ ბუნებოვანმა პიროვნებამ არც ეს ისურვა, და მხოლოდ მათთან ჰქონდა ჭირი არჩია ვინაც მას შეუყვარდა. საჭირო იყო ლეჩხუმის მივარდნილ სოფლებში და თავისივე სამშობლო სვანეთში მუშაობა და იგი გულწრფელათ შეუდგა მუშაობას. მრავალგვარი დაბრკოლებები გადალახა, მრავალგვარი პირადი დამცირება და ეკონომიური სადარიბე აიტანა დემოკრატიისა და სამშობლო ლეჩხუმ-სვანეთის მშრომელი ხალხის სიყვარულისათვის თუთხმეტი-ოცი წლის განმავლობაში. მაგრამ დახე უკუღმართობას! სწორეთ იმ ლეჩხუმის მიწაზე დაინთხა მისი უმანკო და სპეტაკი სისხლი, რომელიც ასე უყვარდა და იმედით შესცქეროდა ძვირფასი ადამიანი.

ლევანის დაკარგვით დააკლდა დემოკრატიისათვის თავდადებულ მებრძოლ რაზმს ერთი საუკეთესო ამხანაგი, ხოლო ლეჩხუმ-სვანეთის მივარდნილ სოფლის მშრომელ ხალხს დაეკარგა თვისი ინტერესების დამცველი მოჭირნახულე და პოლიტიკური აღმზრდელ-წინამძღოლი, მაშასადამე, ის გასროლილი ტყვია, რომელმაც განგმირა ლომის მსგავსი ლევანის სპეტაკი გული, არ მოხვედრია მარტო ლევანის გულს, არამედ იგი მოხვდა მთელი დემოკრატიის გულს და კერძოთ კი იმ ლეჩხუმ-სვანეთის მშრომელ მასსის გულს, რომლისთვისაც აუნაზღაურებელ დანაკლისს შეადგენს თავისი საყვარელი ლევანის დაკარგვა. წყევა-კრულვა და უსაზღვრო ზიზღი მხეცებ-ჯალათებს, რომლებმაც თავის მურტლი ხელები შეიღება ლევანის სისხლით.

ძვირფასო ლევან! შენი სახელი უკვდავ ძეგლათ იქნება ჩვენს გულში და მას ვერას დროს ვერავინ ვერ შეეხება.

ლეჩხუმელი ებრაელი.

---

რეაქციის ღვიძლმა შვილებმა, რაჭალეჩხუმის გონება დაბნეულმა ყოფილმა ჯარისკაცებმა სიცოცხლე მოუსპეს ძვირფას ამხანაგს, დემოკრატიისთვის თავდადებულ, მებრძოლ რევოლიუციონერს ამხ. ლევან დადეშქელიანს, მისი უმანკო სისხლით შეიღებეს მურტალი ხელები. წაუშლელი ჩირქი მოსცხეს მთელ მხარეს. გულის სიღრმემდე აღმშფოთებელი საზიზღარი მკვლელობის გამო. მუხლს ვიდრეკ ლევანის ცხედრის წინაშე და გულიდან ამონახეთქ სიტყვებს ვუერთებ მთელი დემოკრატიის კვნესას: „ჯალათებო! მოღალატენო, სისხლის მსმელებო, ძირს თქვენი ჭუჭყიანი ხელები,

გონს მოდით, იკმარეთ ძმათა ამდენი სისხლი".

შენი სახელი კი, ძვირფასო ამხ. ლევან, ნათელ სვეტათ იქნება აღმართული ჩვენს გულში და საზიზღარ მკვლელებისადმი წყევა-კრულვა საშვილიშვილოთ გადაცემული.

მარო დვალი.

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში

3 მარტს მოხდა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა ამხ. გ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

ამხ. ირაკლი წერეთელმა გააკეთა მოხსენება ზავის საკითხის შესახებ. (ეს მოხსენება ცალკე იბეჭდება დღევანდელ ჩვენს გაზეთში). მოხსენება იმდენათ დასაბუთებული იყო, რომ საბჭომ ზედმეტათ აღიარა კამათის გამართვა და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. წერეთელის მოხსენება ზავის შესახებ, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერთა დემოკრატიას გაერთიანებისაკენ და მთელი ძალღონის მოკრებისაკენ თავდამსხმელ იმპერიალისტურ ძალების უკუსაქცევათ და ქვეყნისა და რევოლიუციის მოპოვებათა დასაცავათ".

[illegible]

ერთხმად (მხოლოდ 7 შეიკავა თავი) მიღებულ იქნა ამხ. ვ. ჯუღელის რეზოლიუცია: „იწონებს რა საგანგებო სამხედრო რევოლიუციონურ სასამართლოს ნაბიჯს, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო წინადადებას აძლევს აღმასრულებელ კომიტეტს აწარმოვოს უფრო გადაჭრილი და სისტემატიური ბრძოლა რევოლიუციონურ წესრიგის ალსადგენათ".

აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

## ავაზაკთა ჯგუფის შეპყრობა

პარასკევს, 2 მარტს თფილისში დღის 4 საათზე შეიპყრეს ავაზაკების მთელი ჯგუფი, რომელიც ამ ბოლო დროს მთელ თფილისს თავზარს სცემდა, ავაზაკები სძარცვავდენ ყველას, ჰკლავდენ მილიციონერებს და სხვებს. როგორც გამოირკვა, ამ ჯგუფს მეთაურობდა ცნობილი ქურდი „კოლკა მალაკანი", ჯგუფის ხელმძღვანელი კი იყო ესიკოვის ცირკში მოთამაშე მესტიევი. ამ ბრბოში ყველა ჯურის ხალხი იყო, ციხიდან გამოქცეული ქურდბაცაცები, დეზერტირები, ოფიცრები და ჯარისკაცები. ავაზაკები კარგათ ყოფილან შეიარაღებულნი, ტყვიისმფრქვევლებიც კი ჰქონიათ. მათ უნახავთ [illegible] ყაზარმა, არტილერიის [illegible]

## ლევანის ხსოვნას

ცრემლს ვერ დავღვრი... დილის ყვავილს ვერ შევაკრთობ მწარი კვნესით!
სხივთა ციალს ვერ დავბურავ უიმედო გლოვის წესით!..
მზეს სიკვდილის წესი არ სწამს,—ზღვამ არ იცის დამარცხება,
მზე სიკვდილის ჯალათია—სიყვარულის ამაღლება!..
ლევან! ლევან!.. ვინ იუდამ უღალატა ჩვენს ძმას ერთგულს,
ვინ გაგმირა შენი მკერდი, ვინ შეახო ხელი შენს გულს?..
მაგრამ ვაი,—ვაი ჯალათს!.. სიყვარული მას გასწირავს,
სამარცხვინო მოედანზე გამოიყვანს და გაგმირავს!..
ჩვენი ხვედრი ტანჯვა იყო, მარად ლტოლვა და სიცილი—
რწმენის გზაზე დანაბადი და მის გულზედ გამოზრდილი...
შენ კი, ლევან, ჩვენთანა ხარ, შენ ჩვენთან ხარ მარად ჩვენი,
სიყვარულის რაინდი და მოცისკროვნე სახის მჩენი!..
ცრემლს ვერ დავღვრი... დილის ყვავილს ვერ შევაკრთობ მწარი კვნესით,
მე შენს სახეს ვერ დავბურავ, უიმედო გლოვის წესით!..

გელა.

თფილისი.

და საერთოდ მთელ თფილისს. დაჭერილებში ალმოჩნდა ცნობილი ავაზაკები მეტ სახელათ „ბედნი კიტაი", „შავო", „ტერსი", „კოლკა მალაკანი" და სხვები. ალმოაჩინეს მოკლულ მილიციონერების თოფები და მოკლულ გენერალ კარნაუხოვის ავტომობილი.

დღის 4 საათზე მუშათა და ჯარიაკაცთა დეპუტ. საბჭოს აღმოსრულებელ კომიტეტის, წითელი-გვარდიის, მილიციის, რევოლიუციონურ ტრიბუნალის, საზოგადოებრივ თავდაცვის და აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმის წარმომადგენელთაგან შესდგა არა ჩვეულებრივი რევოლიუციონური სასამართლო, რომელიც შეუდგა საქმის განხილვას და მოწმეების შეკითხვას. მოწმეების ჩვენებიდან და თვით დამნაშავეთა სიტყვით გამოირკვა, რომ ნიკოლოზ ბადრიძე (შავო) დავით ქამუშაძე, გაბრიელ ლუკაშვილი, ბადდო ტერმესროფოვი, გაბო გექჩუაშვილი, ვასილ გულკერაშვი (ბედნი კიტაი) ანატოლი კოვალენსკი, გიორგი ქარტილაძე, ზაქარია ნათაძე (თარსი) ნიკოლოზ სულაძე, მიხეილ ყაზიაშვილი, და არჩილ ბახუტაშვილი, მონაწილეობას ღებულობდენ 1 და 2 სამილიციო უბნების მილიციონერების და სხვათა მკვლელობაში და ძარცვა-გლეჯაში.

დილის 4 საათზე 3 მარტს არა ჩვეულებრივმა სარევოლიუციო სასამართლომ გამოიტანა თავის განაჩენი, რომლითაც ყველა ზემოაღნიშნულ პირებს დახვრეტით სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

3 მარტს დილის 5 საათსა და 30 წუთზე ავაზაკები დახვრიტეს.

დანარჩენების შესახებ გამოძიება სწარმოებს და გადაჭრილი ზომებია მიღებული ავაზაკთა მოსასპობათ.

**საგანგებო სამხედრო რევოლიუციონური სასამართლო.**

## გურია მოხალისეებს გზავნის

ისტორიას არ ახსოვს, რომ თავისუფალ ხალხს მტარვალთა სახელმწიფოთა თავდასხმისაგან თავი არ დაეცვას.

სიხარულით ავღნიშნავ, რომ რევოლიუციონური გურია, ფეხზე დადგა, ზიზლი გამოუცხადა დესპოტიზმის წინააღმდეგ წამოჩოქებულთა და თავდაცვისთვის ფიცი დასდო. მთელს გურიაში ხდება მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც ხალხი ფიცსა სდებს სამშობლოსა და რევოლიუციის დასაცავათ. გურია ბათუმისაკენ მოხალისეებს გზავნის, მოხალისეთა რაზმებში ეწერება მოხუცი და ახალგაზრდა, ჯარისკაცი და თავისუფალი მოქალაქე.

25 თებერვალს შესდა ერკეთის საზოგადოების მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი ამხ. პამფილ ბერიძის თავმჯდომარეობით. ილაპარაკეს ამხანაგებმა: მოუწოდეს მოხალისეებათ ჩაწერილიყვნენ. იმ დღესვე შედგა მოხალისეთა რაზმი 150 კაცისაგან და ამხ. ვასილ შარაშიძის მეთაურობით მეორე დღესვე ბათუმისაკენ გაემგზავრა. გზაში ხალხი აღფრთოვანებით გვეგებებოდა; ნიგოითში და სუფსაში შემოგვიერთდა ახალ-ახალი რაზმები. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა გურულთა რაზმები, რომლებიც ბათუმის ქუჩებზე სიმღერებით მიემართებოდენ. განსაკუთრებულის ყურადღებით გვათვალიერებდენ „ჩვენი ძმანი მაჰმადიანები"—აჭარლები. შეიძლება არც ელოდენ, რომ გურულები იარაღს აისხამდენ ოსმალთა წინააღმდეგ!

ერკეთის საზოგადოების მოხალისეებმა შევადგინეთ ერთი როტა—სახელდობრ, მე-7 და მე 2 ქართული პოლკის კამანდირის განკარგულებაში გადავედით. 1 მარტს მოხდა მოხალისეთა კრება, ვას. შარაშიძის თავმჯდომარეობით საპასუხისმგებლო ორგანოების და დელეგატის ასარჩევათ ადგილობრივ მ. და ჯ. კ. საბჭოში. მ. და ჯ. კ. საბჭოში და პასუხისმგებელ კორესპონდენტათ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. გრიგოლ ირაკლისძე შარაშიძე, როტის კომიტეტში კი ამხანაგები: ლადიკო სიხარულიძე, მელიტონ მგალობლიშვილი, ხარიტონ გურგენიძე, მელქისე მამალაძე და კოლია კეკელიძე, სამიც მათი კანდიდატები. მ. და ს. საბჭოს წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება როტის კომიტეტში, კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ამხ. მ. მგალობლიშვილი, მდივნათ ხ. გურგენიძე. სამხედრო ვარჯიშობა დაიწყო და მოკლე ხანში მზათ ვიქნებით წავიდეთ ფრონტზე.

გრიშა შარაშიძე.

## რაჭველ-ლეჩხუმელთა კრება

(ლეჩხუმში მომხდარი ამბების გამო).

თფილისში არსებულმა რაჭა-ლეჩხუმის ორგანიზაციების დამხმარე კომიტეტმა გაიგო თუ არა ლეჩხუმში მომხდარი არეულობა მაშინვე გაგზავნა ამბის გასაგებათ ორი კაცი და ამასთანავე 4 მარტს მოიწვია თფილისში მცხოვრებ რაჭველ და ლეჩხუმელთა საზოგადო კრება.

კრება შესდგა ნაძალადევის თეატრში და ხალხიც ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარემ ზაქ. ბიჭაშვილმა აუხსნა დამსწრეთ კრების მიზანი, გააცნო ამხ. ლევან დადეშქელიანის ვერაგულათ მოკვლის ამბავი. ფეხზე ადგომით კრებამ პატივი სცა ამხ. ლევანის ხსოვნას. ლეჩხუმში მომხდარ ამბების გამო მოხსენება გააკეთა კომიტეტის მიერ გაგზავნილი ამხ. ლ. კეკვიძემ.

მომხსენებელი ფართეთ შეეხო ლეჩხუმში მომხდარ ამბებს და აღნიშნა, რომ მდგომარეობა ძლიერ გამწვავებულია და არა ერთი-ორი მსხვერპლს გამოიწვევსო. ამხ. ლევანის სიკვდილი ასეთ პირობებში მომხდარა: ერთ კრებაზე, სადაც ჯარისკაცებთან გამართულა მოლაპარაკება, სჯა-ბაასის შემდეგ ამხ. დათანხმებულან ჯარის-კაცთა ყველა მოთხოვნებზე. ამის შესახებ მეორე დღეს უნდა მომხდარიყო დიდი კრება. ამაზე დათანხმებულან ჯარისკაცები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებაზე მარტო ჯარისკაცები იქნებოდენ და სხვა არავინ, ამაზე ამხანაგი ლევანიც დათანხმებულა და უთქვამს მე აქიდან წასვლა არ მსურს, როგორც აქაური მცხოვრებბი ამეღამ სახლში წავალ და ხვალ მოვალ და გავხსნით კრებასო. ამხ. ლევანი მისი სიძე ამხ. კუპრაშვილი და ერთი სვანი გასდგომიან გზას. სამწუხაროთ, ჯარისკაცებს ყველა გზები ცაგერისკენ დაჭერილი ქონიათ და როცა მოლაპარაკება დაიწყეს ეს „პოსტები" ჯარისკაცებს არ მოუხსნიათ. მიმავლებს გზაში უკვე დაღამებიათ და აი, როცა მისდგომიან ასეთ „პოსტს" ლევანი დაუჭერიათ, უთქვამს ამხ. რომ შენ დატუსაღებული ხარო. ამ დროს ერთი მათგანი მოპარვია უკანიდან და თავში რევოლვერი დაუხალებია. კუპრაშვილს მოუკლავს 2 ჯარისკაცი ⸗ ერთისთვის მკლავი მოუწყვეტია. მომხსენებელმა სხვა ბევრი საყურადღებო ცნობებიც გადმოგვცა. სხვათა შორის, სთქვა, რომ საქმე საშინლათ გამწვავებულია. ამას მოწმობს ისიც, რომ სვანები საშინლათ აღელვებული არიან ლევანის სიკვდილით და შეიარაღებული სვანები მოითხოვენ სისხლის აღებასო. აჯანყებული ჯარისკაცები, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სდევნიან ყველა სოციალისტებს, მათ აბრალებენ ყოველივე კრიზისს, რომელიც არის გამოწვეული სურსათის ნაკლებობის, ფართალის უქონლობის და სხვა. მოუსპიათ ყოველივე დაწესებულებები და ორგანიზაციები და მაგიერს კი არ აარსებენ. იმდენათ განუვითარებელი მასა ყოფილა, რომ ერთ კრებაზე რეზოლიუციის დამწერი კაციც კი ვერ მოუძებნიათ. ადგილობრივი შეგნებული გლეხკაცობა საშინელი ტერორის ქვეშ ჰყოლიათ დაყენებული. მთელი რიცხვი მაზრაში მყოფ შეიარაღებულ ჯარისკაცებისა უდრის შვიდასს კაცს, რომელთაც სურთ თავისი ამბოხება რაჭის მაზრაშიაც გადიტანოს. ამის ნიმუშები იქაც ყოფილა 27 თებერვალს, მიტინგზე ჭრებალოში რომ ეღლესასწაულებიათ რევოლიუციის წლის თავი კრების გახსნამდე თორმეტ შეიარაღებულ ჯარისკაცს დაუტუსაღებიათ ამხ. რუბენ ყიფიანი, კაკო ლოლელიანი და როცა ამხ. აკაკი გოცირიძეს დასაჭერათ მივიდენ, ამ ჯარისკაცებს დაეცენ ამხანაგი ჯარისკაცები და მოსთხოვეს განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი დახოცილი იქნებოდენ, რაზედაც დასთანხმდენ. მიტინგი შესდგა და მთელმა ხალხმა მოითხოვა დაჭერილ ამხანაგების განთავისუფლება, რაც იმ წამსვე მოახდინეს. მიტინგმა დაგმო ასეთი გამოსვლა ზოგიერთ ჯარისკაცებისა და ზიზლი გამოუცხადა მათ, ამხ. მომხსენებლის აზრით საქმის მშვიდობიანათ დასასრულებლათ საჭიროა ფართე კულტურული მუშაობის წარმოება ლეჩხუმში და რაჭაში. ამავე აზრის არის ქუთაისის საბჭოებიო, საჭიროა შეგნებულ მუშების წასვლაო; ძალით საქმის მოგვარებას ამხ. უარყოფდა, რადგან ლეჩხუმის ბუნება ისეთია, რომ ძალიან ბევრ მსხვერპლს მოითხოვსო.

ასე ამნაირათ დაასრულა მოხსენება ამხანაგმა.

მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ გახსნა კამათი. კრება იმ დასკვნამდი მივიდა, რომ აჯანყებულთა მოქმედება კონტრ-რევოლიუციონურია და თხოულობს ახლავე ლიკვიდაციას, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით. შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ლომთაძემ, ზარქაშვილმა, ჭელიძემ, რაზმაძემ და სხვებმა. კამათის შემდეგ ამხ. ბიჭაშვილის მიერ იყო წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც თითქმის ერთხმათ იყო მიღებული წინააღმდეგ ოთხი ხმისა, მეორე ევგენი დვალის რეზოლიუციამ მიიღო მარტო 5 ხმა.

მიღებული რეზოლიუცია ასეთია: „თფილისში მოწვეულმა რაჭველ-ლეჩხუმელ მცხოვრებთა კრებამ, მოისმინა რა ლეჩხუმში მომხდარი ამბები დაადგინა: 1) დაევალოს რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტს დაჩქარებით შესაფერი მოწოდებით მიმართოს ლეჩხუმის და რაჭის შეგნებულ მშრომელ ხალხს და მათ შორის იმ შეიარაღებულ ჯარისკაცებსაც, რომელნიც პასიურ მონაწილეობას იღებენ არსებულ აჯანყებაში, რათა მათი შემწეობით საჩქაროთ იქმნას აღდგენილი რევოლიუციონური წესრიგი და გაცემულ იქნას ის ბნელი ძალები, რომელთაც ჩაიდინეს საზიზღარი მკვლელობა ამხ. ლ. დადეშქელიანისა. 2) დარწმუნებულნი ღრმათ იმაში, რომ აჯანყებული ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა, რომელნიც იჩენენ პასიურ მოქმედებას აჯანყებაში, არ თანაუგრძნობენ იმ ბნელ ძალებს, რომელნიც უკვე კონტრ-რევოლიუციონურ გზას ადგიან და აწარმოებენ თავიანთ ბოროტ განზრახვებს; მასთანვე ადგილობრივი შეგნებული ელემენტები ლეჩხუმში და რაჭაში ამ ჟამათ დატუქსული არიან აჯანყებულთა მიერ და მათი მუშაობა შეუძლებელი ხდება, რომ მათ შორის მოახდინოს გათიშვა და მიიმხროს შეგნებული ჯარისკაცები; ამიტომ კრება საჭიროთ სცნობს ძლიერ დაჩქარებით გაგზავნილ იქნას რაჭა-ლეჩხუმში, რაც შეიძლება მეტი შეგნებული მომზადებული ამხანაგები: მუშები, ჯარისკაცები და იქაური გავლენიანი ინტელიგენტები, რათა მათი შემწეობით განახლებულ იქნას ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები, ფართო აგიტაციის საშუალებით და შეგნების შეტანით მოხდეს ლიკვიდაცია აჯანყებულთა მოქმედებისა და ამ რიგათ აღდგენილ იქნას დარღვეული რევოლიუციონური წესრიგი.

3) ამხანაგ ლევან დადეშქელიანის ტრაღიკულ სიკვდილის გამო კრება დიდ მწუხარებას გამოსთქვამს, გლოვობს მთელ ქართველ დემოკრატიასთან ერთად ასეთი მებრძოლის დაკარგვას, უცხადებს ზიზღს იმ მკვლელ ავაზაკებს, რომელთაც ასეთი ვერაგული საქმე ჩაიდინეს.

4) ამხ. ლ. დადეშქელიანის დაკრძალვისათვის გაგზავნილ იქნას ორი ამხანაგი, ერთი რაჭველი და ერთი ლეჩხუმელი კომიტეტის სახელით შესაფერ სიტყვის წარმოსათქმელათ და ჭირისუფლების სანუგეშოთ, ამავე ამხანაგებს დაევალა დაწვრილებით შესწავლა ყოველივე მომხდარ ამბებისა ლეჩხუმში და რაჭაში.

---

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრება შეუდგა მსჯელობას, თუ როგორ მოეწყოს კაცების გაგზავნა და ან ვინ გაეგზავნათ.

ამხ. ლ. ელბაქიძის განცხადებით საოლქო რ. ს. დ. მ. პ. კომიტეტს დაუდგენია რაჭა-ლეჩხუმში გაიგზავნოს თფილისში მყოფი იქაური შეგნებული მუშები, რაზედაც იგი დახმარებას იძლევა.

მიიღო რა კრებამ მხედველობაში ეს განცხადება, აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა დაუყონებლივ გასაგზან კაცების გამონახვა, მოლაპარაკების გამართვა საოლქო კომიტეტთან, ქუთაისის ორგანიზაციებთან და სხვა, რათა დაჩქარებით მოეწყოს ყოველივე ტეხნიკურის მხრით.

კომისიაში არჩეულ იქნა ზ. რაჭაშვილი, ი. ქარსელაძე და ამბაკო ჭელიძე. არჩეულ იქნენ აგრეთვე ქუთაისში გასაგზავნი პირნიც.

ზ. ხიდისკარელი.

## ლეჩხუმის ამბები

24 თებერვალს ქუთაისში ცაგერიდან პირდაპირი მავთულით ცნობა მოვიდა: „ცაგერში ჯარისკაცების შეიარაღებულმა ბრბომ დაატყვევა კომისარიატი და ციხიდან გაანთავისუფლეს ძველ პოლიციელები და ყაჩაღებიო".

ქუთაისის მუშათა საბჭოს პრეზიდიუმმა წესიერების ალსადგენათ გაგზავნა ორასი კაცისაგან შემდგარი რაზმი და ლეჩხუმელი ამხანაგებისათვის გაგზავნა ასი თოფი.

რაზმი დღის 3 საათზე მივიდა მექვენაში. ადგილობრივ რამდენიმე ამხანაგი შეუერთდა ჩვენს რაზმს და გასწია ცაგერისაკენ.

25 თებერვალს მივედით ალპანაში. რაზმი დაბინავდა აჭარის ხიდთან. რაზმის მისვლისთანავე გავრცელდა ხმა: „ქუთაისიდან ჩამოვიდა დამსჯელი რაზმი და ლეჩხუმი უნდა აოხრდესო".

ასეთმა პროვოკაციამ თავზარი დასცა ხალხს. პროვოკატორები ურჩევდენ ხალხს გახიზნულიყო ტყეში, რომ თავი გადაერჩინა ქუთაისიდან ჩამოსული დამსჯელი რაზმისაგან. ვფიქრობდით, რომ ამ ხმას გასავალი არ ექნებოდა. შტაბი საქმეს შეუდგა. ლეჩხუმელი ამხანაგებისათვის წაღებული თოფები გალაეცა ადგილობრივ კომისარს, რომელმაც რამოდენიმე კიდეც დაურიგა რაზმელებს, რომლებიც ჩვენს რაზმს დახვდა ალპანაში. რაც დრო მიდიოდა, პროვოკაცია ფართოვდებოდა. პროვოკატორების აგიტაციამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და მოვიდა ცნობა, რომ აჭარის ხიდს ზევით შეიარაღებული ბრბო ჯარისკაცებისაგან შემდგარი მთებში ჩასაფრებულა, სოფლელები კი გახიზნულან ტყეებში. ჩვენი ცდა, რომ დაგვერწმუნებია ხალხი, რომ ჩვენ მოვედით მათდა საშველათ, მოუტანეთ თოფები თავდასაცავათ და თუ საჭირო იქნებოდა, ჩვენც მოვეხმარებოდით, უნაყოფოთ მიდიოდა. ისინი მაინც გაგვირბოდენ. შტაბის აზრით, რადგან პროვოკატორების საქმიანობა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა უნდა გავჩერებულიყავით აჭარის ხიდთან და გაგვეგზავნა სოფლებში დელეგაცია, რომ ხალხი დამშვიდებულიყო და არ აყოლოდა შავრაზმელებს.

ცოტა ხნის შემდეგ ჭილეშის ღელიდან მოვიდა ჯარისკაცების დელეგაცია და გვიამბო, რომ ჩვენ ხალხთან ერთად ჩასაფრებული ვართ მთებშიო და წინადადებას იძლეოდენ ცაგერისაკენ არ წასულიყო რაზმი, რადგან ხალხი შეშინებული არისო.

აქ გამოირკვა, რომ ცაგერში დაეტუსაღებიათ მილიციის უფროსი და სხვები, ხოლო ციხიდან გაუნთავისუფლებიათ ძველი პოლიციელები.

შტაბის შეკითხვაზე, თუ რატომ მოახდინეს ეს ამბები, მათ თქვეს: ჩვენ არ გვსურს ძველები, ახლები უნდა ავირჩიოთო; ამაზე დავთანხმდით და წინადადება მივეცით მოეხდინათ არჩევნები და ამ არჩევნების სახელმძღვანელოთ ჩვენ ვუტოვებდით სამ ამხანაგს. ამ შეთანხმების შემდეგ, მით უმეტეს, რადგან გვარწმუნებდენ, რომ ცაგერში კომისარიატი დავატყვევეთ, მაგრამ უწესოება არ მოგვიხდენია, დარბევა არ მომხდარაო და სხვა. და მეორე კიდევ, რადგან ხალხი დაფრთხა, გადავწყვიტეთ რაზმის დაბრუნება და დატოვება ორატორების. მაგრამ ამ დროს ამბავი მოგვივიდა, რომ გვირიშის ღელე და ნიკორის ძირი გაუმაგრებია ბრბოს, აუყრია ხიდები და დაუტუსაღებიათ ავტომობილები, ამის გამოსარკვევათ გამოვგზავნეთ 5 ცხენოსანი რაზმელი, რომლებსაც აუტეხეს სროლა და სამი მათგანი დაატუსაღეს. ამის შემდეგ გამოირკვა, რომ ბრბომ უკვე გამოგვიცხადა ომი. შეიარაღებულ ჯარისკაცებთან ვხედავდით მოხუცებულებს და ქალებსაც, რომლებიც ტერორის ქვეშ გამოყავდა ბრბოს. ჩვენ საქმე დაგვირჩა უდანაშაულო ხალხთან, რომელსაც არავითარი სურვილი არ ქონდა ჩვენთან ბრძოლისა, მაგრამ ეშინოდა ჯარისკაცების ტერორის და შიშის ქვეშ აკანკალებული გვერდში უდგა მათ მთებში ჩვენთან საბრძოლველად. მოხუცებულებს რომ ვეკითხებოდით თუ რა სურდა მათ, გვიპასუხებდენ: ჩვენი საქმე არაფერი არ არის, ჯარისკაცებს შეეკითხეთო. ჩვენი ბრძოლა შეუძლებელი იყო მათთან, რადგან საქმე გვქონდა უდანაშაულო ხალხთან, ამიტომ საჭირო იყო უსისხლოთ გამოსვლა. ბრბოს დელეგატები მოითხოვდენ მეთაურებს და ტყვიისმფრქვევლებს, მაგრამ ისინი დარწმუნდენ, რომ ამას რაზმი არ დაეთანხმებოდა უსიკვდილოთ და ეს მათთვის ძვირი ჯდებოდა. გაუწყიეს ყოველივე ამას ანგარიში და გახსნეს გზა, საიდანაც მშვიდობიანათ გამოვიდა რაზმი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ერთი მაგალითია ერთი წლის რევოლიუციის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში კონტრრევოლიუციონური გამოსვლისა. დღეს ლეჩხუმში ყველაფერი შეიარაღებული ბრბოს განკარგულებაშია, მათი ტერორის ქვეშ მოქმედებს. რომ კითხოთ—ისინი რევოლიუციონერებია, წესიერებას იცავენ; მათი აზრით, მათ საქმეში ნურავინ ერევა, რადგან ყველაფერი იციან, ძველ მეთაურებს მოღალატეებათ ნათლავენ. კონტრ-რევოლიუციონერების მოქმედება ფართოა. მათ განკარგულებაშია მთელი ლეჩხუმი, მათ ტერორს ქვეშ არის მთელი მაზრა.

ლევან დადეშქელიანი, ბაჭუა კუპრაშვილი და რუბენ ყიფიანი დარჩენ ადგილობრივ ხალხთან მოსალაპარაკებლათ, მარა ჯარისკაცების შეიარაღე-

ბულმა ბრბომ ისინი ხალხამდე არ დაუშვა.

ღამე ბრბო ორას კაცამდე შავრაზმელების მეთაურობით დახვდა ლევანს და ბაჭუას, ალყა შემოარტყა და როდესაც ლევანი სიტყვას ამბობდა,—მას ზურგში ტყვია დაახალეს. ლევანი სულთმობრძავი დაეცა ძირს და დილამდე წამებით გასტანა და ტანჯვაში დალია სული. კუპრაშვილმა და ერთმა სვანმა ბრძოლა გაუმართეს ბრბოს და ბრძოლით გზა გაიკაფეს და გადარჩენ.

ლევანის მკვლელი და ორი კიდევ სხვა ამ ბრძოლაში მოკლეს.

კუპრაშვილი შემდეგ დაეჭირათ რაჭაში, მაგრამ გაენთავისუფლებიათ და გუშინ იგი ფეხით ქუთაისში ჩამოვიდა. რუბენ ყიფიანიც დაეჭირა ლეჩხუმის შეიარაღებულ ბრბოს, მაგრამ უიარაღოთ ხალხის დაჟინებითი მოთხოვნით იგი გაანთავისუფლეს და ქუთაისში გუშინ ფეხით ჩამოვიდა. (ს.დ.).

## გურიის ამბები

წესრიგის დაცვას ძლიერ შეუწყო ხელი დროებითი სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალის დაარსებამ. ტრიბუნალი დაარსდა ოზურგეთში ამ რამდენიმე ხნის წინ. ტრიბუნალის სხდომები ორჯერ იმართება კვირაში. ამ დღეებში ტრიბუნალმა გაარჩია ბახვის ეკლესიის გაძარცვის საქმე. ეს ეკლესია ყველაზე უფრო მდიდარ ეკლესიათ ითვლებოდა გურიაში. ამ საქმეზე სხვათა შორის პასუხისგებაში იყო მიცემული ერთი ბახველი ცნობილი მოღვაწე, ხალხის ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. გ. ქ—ძე. ტრიბუნალმა საქმე გაარჩია ბახვის საზოგადოების მიერ არჩეული კომისიის გამოძიების თანახმათ. ტრიბუნალმა ბრალდებულები დამნაშავეთ ვერ სცნო, რადგან კომისიის საქმეებში საკმაო საბუთები არ აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ. გ. ქ—ძის წინააღმდეგ კი სრულიად არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა, წინააღმდეგ, გამოირკვა, რომ უკანასკნელ კომისიაში მოხვდენ ზოგიერთი ისეთი პირები, რომლებიც ცდილობდენ ეს საქმე ს.-დემ. ბახვის ორგანიზაციისა და მის ხელმძღვანელ გ. ქიქოძისთვის მოეხვიათ თავზე. ტრიბუნალმა დანიშნა თავისი გამოძიება ამ საქმეზე. იმედი აქვთ, რომ ქურდებს აღმოაჩენენ.

უკანასკნელმა ამბებმა—ბალშევიკების მიერ ჩვენი საარსებო ინტერესების გაყიდვამ, ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების ოსმალეთისთვის ძლვნათ მირთმევამ ფეხზე დააყენა მთელი გურია. ყველა საზოგადოებებში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები, სადაც ფიცს სდებენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცონ თავისი ქვეყანა და თავისუფლება გარეშე მტრის შემოსევისაგან. სდგება ყველა საზოგადოებაში მოხალისეთა რაზმები და მიდიან ბათუმში. გამოცხადდა ახალგაზრდათა მობილიზაციაც. მიტინგებზე ხალხი სდებენ ფიცს და მოღალატეთ აცხადებენ ყველა მათ, ვინც უარს იტყვიან თავდაცვასა და საპიროების დროს საზღვრებზე საბრძოლველათ გასვლაზე. აქაური ბალშევიკებიც თავდაცვის ნიადაგზე სდგანან და გამოდიან მიტინგებზე მოწოდებით საბრძოლველათ მტრის წინააღმდეგ.

ხუსეინ.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 1 მარტს შესდგა მეორე რაიონის რუსეთის სოც. დემ. მ. პარტიის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ორგანიზაცია სოფლად, ქალთა ორგანიზაცია, წითელი გვარდია, საზოგადო კრების მოწვევა, განცხადება და სხ. ვინაიდან ამ ჟამად სოფლად პარტიული ორგანიზაციების საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, კრებამ დაადგინა გაგზავნოს სოფლად ზოგიერთი—ამხანაგები ამ ორგანიზაციების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად და გასამაგრებლათ.

ქალთა ორგანიზაციის შესახებ კრებამ დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები ქალთა შესაკავშირებლათ და მათ ორგანიზაციების შესაქმნელათ და ამ მიზნით ამ დღეებში მოიწვიოს ფაბრიკა-ქარხნებისაგან თითო წარმომადგენელი, რომლებიც გამართავენ წინასწარ მოლაპარაკებას ამ საქმის მოსაგვარებლათ.

საზოგადო კრების მოწვევის შესახებ კრებამ დაადგინა მიენდოს ტეხნიკურ კომისიას მიიღოს ენერგიული ზომები და გამონახოს ბინა და ახლო მომავალში მოიწვიოს საზოგადო კრება.

ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენლის განცხადების შესახებ, რომ ფოსტ. საოლქო სამართველოსაგან მიღებულია ცნობა, გამოიყოს 1/6 ნაწილი ფოსტის მოსამსახურეებიდან და შეადგინონ ცალკე რაზმი, საპიროების დროს მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლათო, კრებამ დაადგინა, ფოსტის წარმომადგენელმა მიმართოს ამის შესახებ ტრამვაის წითელ გვარდიელთა რაზმის ხელმძღვანელს, რომლისაგან მიიღებს შესაფერ პასუხს და უჩვენებს გზას.

გაზ. „ბორბა“-ს შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. უმბრიევმა, აღნიშნა გაზეთის ფინანსიური მხრით მეტათ კრიტიკული მდგომარეობა და რედაქციისა და იმ კომისიის სახელით, რომელიც ხელმძღვანელობს გაზეთის მატერიალურათ უზრუნველ ყოფის საქმეს ითხოვა მიეცეს „ბორბას“-ს რედაქციას სესხის სახით 200 მანეთიო. კამათის შემდეგ დადგენილ იქნა: მიეცეს ავანსის სახით 200 მანეთი და ეთხოვოს ყველა. ჩვენს ამხანაგებს პაების შექმნით და მისს მასაში გავრცელებით ხელი შეუწყონ გაზეთის გაძლიერებას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

**სურები** (გურია). 24 თებერვალს შესდგა სურების რაიონულ ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პარტიის რაიონული კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: თანამედროვე მომენტი, მობილიზაცია, ანგარიში, კოლექტივის არჩევნები, მიტინგის შესახებ და სხ.

მომენტის შესახებ ილაპარაკა ამხანაგმა პიმენ რამიშვილმა და წარუდგინა კრებას შემდეგი რეზოლიუცია: მომენტს დღეს ახასიათებს ოსმალეთის საშიშროება ამიერ-კავკასიის დემოკრატიისთვის და ამიტომ ვადგენთ: ვინაიდან ამიერ-კავკასიის იმ ბედში დატოვება, როგორც ეს განუზრახავს არამკითხეებს აქრობს მას, როგორც ერთეულს და მისი დემოკრატია ვარდება იმ საშინელ მძიმე უღელ ქვეშ, რომლის ზიდვა მას არ შეეძლება და ადრე თუ გვიან, ის ბუნებრივათ მაინც იძულებული გახდება ეს რეაქციის უღელი თავიდან მოიცილოს, ამიტომ ჩვენ ეხლავე მოვიკრებთ ყოველ ძალ-ღონეს, ვისაც ოდნავ შეუძლია იარაღის ტარება, იარაღით ხელში დავდგებით რევოლიუციის დარაჯათ. წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

მობილიზაციის შესახებ მცირე მსჯელობის შემდეგ კრებამ მიიღო მომხსენებელის შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში განსაკუთრებულ მდგომარეობას სავსებით ვუჭერთ მხარს მობილიზაციას და თვითეული პარტიის წევრი ვალდებულად ვიხდით თავის თავს ხელი შევუწყოთ მის სისრულეში მოყვანას. 19 წლიდან 25 წლამდის ვისაც მოგვიწევს უსიტყვოთ მივაშუროთ სადაც ჯარ არს, ხოლო დანარჩენებმა შევადგინოთ მოხალისეთაგან სათადარიგო რაზმები, რომლებით მზათ იქნებიან საპიროების დროს მიეშველონ ჯარს. ეს წინადადებაც კრებამ ერთხმათ მიიღო. მოხალისეთა რაზმის ტეხნიკურად მოსაწესრიგებლათ და აგრეთვე მის ხელმძღვანელად კრებამ დანიშნა სამი კაცი: ა. კიკვაძე, დ. ტრაპაიძე, ლ. კალანდაძე.

ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა ხაზინადარმა პ. რამიშვილმა, კოლექტივის შემოსავალი 1917 წ. 1 აპრილიდან 1918 წლის 24 თებერვლამდე უდრის —2184 მ.—10 კ. გასავალი ამ ხნის განმავლობაში—2040 მ.—40 კ. ამრიგათ კასაში რჩება—144 მ.—2 კ. კოლექტივს აქვს ვალი 145 მ. ეს ანგარიში კრებამ დაამტკიცა. ამას შემდეგ მოხდა კოლექტივის არჩევნები. აირჩიეს კოლექტივში ათი კაცი: მაკარ კიკვაძე, კაპ. სანიკიძე, კოს. ეხიეშვილი, ანტონ ალფაიძე, შერმანდი ტრაპაიძე, ნინო ტრაპაიძე, პ. რამიშვილი, ილონ, ტროფიმე და პანტელეიმონ რამიშვილები.

ტალკვეხი.

## მუშათა შორის

**ფოთი.** თფილისიდან ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოუგზავნა მუშებს მათი დასაკმაყოფილებლათ 100.000 მან. ამათგან 66.000 მან. ჯარისკაცებმა მიიღეს ჯამაგირათ, ვინაიდან ისინი იმუქრებოდენ, და ჯამაგირების მიცემის დაგვიანება მათთვის—შეუძლებელი იყო. 34.000 მან. კი ძალიან ცოტა იყო მუშებისთვის, ვინაიდან მათ არ მიუღიათ ორი-სამი თვის ჯამაგირი. ფოთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ განიხილა მუშათა ასეთი უმწეო მდგომარეობა და დაადგინა: სანამ ფულს გამოგზავნიდეს ამიერ-კავკასიის კომისარიატი, სესხის სახით ჩამოერთვას ადგილობრივ ვაჭრებს 90.000 მანეთამდე, რათა ამ ფულით დააკმაყოფილონ მუშები. ვაჭრებს უნდა შემოეტანათ ეს ფული 24 თებერვლის საღამოს 7 საათამდის. შემოსული ფული განაწილებულ იქმნა მუშებს შორის.

**სად. სამტრედ.** სად. დარკვეთში 20 თებერვალს შესდგა 27 „აკალოტკის“ რკინის გზის მუშების კრება. შორაპნის კომიტეტის წევრის კ. მანიძის და შორაპნის კომისარ ბ. მუმლაძის თანადასწრებით. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მე-27 „ოკოლოდკაში“ იაჩეიკის დაარსება და მისი წევრების არჩევნები და მიეცეთ თუ არა დღიურ მომუშავეებს უფლება თავისი წარმომადგენელი იყოლიონ იაჩეიკაში. იაჩეიკის წევრებათ არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: რემონტის მუშებიდან ევგენი ბუსრიკიძე, ზაქარია შუკაკიძე; გზის დარაჯების მხრით გრიგოლ ლავთაძე, დომენტი აბრამიშვილი, ს. გიორგაძე. ამ ზემოხსენებულ პირთ ევალებათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიონალურ კავშირში.

## პროვინცია

**საბურთალო.** აქ შესდგა საბურთალოახალშენთა მცხოვრებლების კრება თეატრის და სამკითხველოს შესახებ. საზოგადოების მიერ არჩეულმა გამგეობამ გადასწყვიტა თეატრის და სამკითხველოს გამგეობასთან შეთანხმებით ემოქმედათ. ერთი კვირის შემდეგ მოიყარეს თავი და მათ შორის ამოირჩიეს კომისია ხუთი კაცისაგან და დაავალეს გაეგოთ—გაუწევს ქალაქი მზრუნველობას, თუ არა. აგრეთვე დაავალეს მიემართათ მემამულე ქვრივ გაბაევის ქალისთვის იმ ადგილის შესახებ, რომელიც ქვრივს ეკუთვნის და სადაც შეიძლებოდა მოთავსებულიყო სკოლა, თეატრი, სამკითხველო და კოოპერატიული დაწესებულება. გამგეობამ და მათგან ამორჩეულმა კომისიამ გადასწყვიტეს მიემართათ ქვრივი გაბაშვილისათვის, რომ დაეთმო ერთი-ერთი იმ სამი დიდი შენობათაგან, რომელიც მას ეკუთვნის, ამ კულტურული დაწესებულებისათვის, მაგრამ მან დიდი უარი სთქვა: „ნებითა ჩემითა ღმერთმა დამიფაროს, და თუ ძალით წამართმევთ, ეს ხომ ბალშევიკურიაო“. ამ პასუხით მოგვიშორა თავიდან ქვრივმა. ეხლა კი შემდეგ ხრიკებს მიმართა: ვითომ ეს მამულები ძველი რეჟიმის დროს არის გაყიდული და რაც შეიძლება აჩქარებს გადაცემას სპეკულიანტებზე და იგინიც საჩქაროთ ეზიდებიან შენობის მასალას და ღამით ლობავენ და აშენებენ. ამიტომ ვსთხოვთ ქალაქის გამგეობას ყურადღება მოგვაქციოს და ეხლავე იქნეს ალაგმული ის არა მკითხე სპეკულიანტები, რომელნიც იტაცებენ ამ ალაგებს.

კომისიის წევრი.

**ს. ხევი** (გურია). 26 თებერვალს შესდგა სასწრაფო კრება. თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება გააკეთა მობილიზაციის შესახებ და აუხსნა ხალხს დღევანდელი მობილიზაციის მნიშვნელობა და მოუწოდა დამსწრეთ რევოლიუციის და სამშობლოს დასაცავათ გარეშე მტრის შემოსევისაგან. მან ვრცლათ გააცნო ხალხს დღევანდელი მომენტი და ბალშევიკების ავანტიურისტული მოღვაწეობა. სხვათა შორის მან აღნიშნა, რომ ბილშევიკების გამოსვლამ მთელი რუსეთი გახადა გერმანიის იმპერიალისტების საძიძგნათ და ამიერ-კავკასიასაც გაუწია დათვური სამსახური და ოსმალებს მიყიდა ბათუმი და ყარსი. ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ორატორებმაც. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ვინაიდან საფრთხე მოელის რევოლიუციას გარეშე მტრის შემოსევისაგან და შინაური კონტრ-რევოლიუციონერებისაგან, სასწრაფოთ იქნენ სამსახურში გაწვეული ის ახალგაზდები, ვისაც შეუსრულდა თვრამეტი წელი და არიან 25 წლის და შემდეგ შეუდგენ მოხალისეთა ჩაწერას, რომლებიც სიხარულით ეწერებიან. მოხალისენი იმ დღესვე გაემგზავრენ ბათუმში. ხალხმა ფიცი დასდო, რომ ის არავის არ დაუთმობს ჩვენი ქვეყნის ასე ჩაწიხლვას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს.

ალექსი მამალაძე.

**გორი.** 27 თებერვალს გორში გაიმართა დიდი მიტინგი რევოლიუციის წლისთავის აღსანიშნავათ. მიტინგის დაწყება ზარების რეკით ეცნობა საზოგადოებას.

მიტინგზე თავმჯდომარეობდა ექიმი მ. კობერიძე. ილაპარაკეს ამხანაგებმა: კობერიძემ, ს. კეცხოველმა, ს. რობაქიძემ, შაქრო ჯავახიშვილმა, ვარდიანცმა, მაჩაბელმა და კინწურაშვილმა, ილაპარაკეს აგრეთვე საქ. სოც.-ფედ. პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის სახელით სიმ. მაჭავარიანმა და დაშნაკელების სახელით გურგელოვმა.

მიტინგზე მიღებულ იქმნა ამხ. სანდრო მაისურაძის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა გარკვევადაფასება დღევანდელი პოლიტიკური მომენტისა, ჩვენ ვხედავთ, რომ განვიცდით უაღრესად მძიმე მდგომარეობას. ჩვენ სიტყვას ვსდებთ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიასა და მთელ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად დაუღალავად ვიბრძოლებთ რევოლიუციის დასაცავათ 27 თებერვალს გამართული მიტინგი ადგენს, რომ მთელი ჩვენი ძალღონით ვეცდებით იარაღით ხელში დავიცვათ რევოლიუცია და თავისუფლება.

მიტინგი სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს და სეიმს და მხარს უჭერს სეიმის განზრახვას ამიერ-კავკასიის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოცხადების შესახებ. ამიერიდან 27 თებერვალი სახალხო დღესასწაული ხდება.

ო.

**ჭიათურა.** რევოლიუციის წლის თავი აქაც აღინიშნა დიდი მიტინგით, რომელიც მოწვეულ იქნა მუშათა დეპუტატების საბჭოს თაოსნობით 27 თებერვალს. მიტინგი გაიხსნა რევოლიუციონური ჰიმნით, რომელიც შეასრულა სანდრო კავსაძის გუნდმა. პირველი სალამი უძღვნა დამსწრეთ მოსწავლე კაპანაძემ, რომელმაც წაიკითხა საკუთარი დროს შესაფერი ლექსი. მუშათა დეპ. საბჭოს სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. პლ. მოდებაძემ.

ამხ. მოდებაძის შემდეგ ილაპარაკეს ყველა პარტიების წარმომადგენლებმა. ყველა ორატორი გმობდა ბალშევიკების ავანტიურას, კიცხავდენ, მათ ბათუმ-ყარს-არდაგანის თათრებისათვის გადაცემის გამო და მოუწოდებდენ გაერთიანებისაკენ სამშობლოს დასაცავათ. ილაპარაკა ბალშევიკების წარმომადგენელმა ა. ვაშაძემ და გადმოუფინა საზოგადოებას თავისი დემაგოგიური ავლა-დიდება. კამათის შემდეგ მიტინგმა მიიღო შემდეგი დადგენილება: ჭიათურის მრავალრიცხოვანი მიტინგი მხარს უჭერს ამიერ კავკასიის სეიმს და არას გზით არ დაუთმობს მტერს ბათომს, ყარს და არდაგანს.

იმავე მიტინგზე რიგს გარეშე ილაპარაკა ამხ. ზაქარია გურულმა, რომელმაც განუმარტა ხალხს „წითელი გვარდიის“ მნიშვნელობა. ზოგიერთი პროვოკატორების მეოხებით ხალხში გავრცელებულია ხმა, თითქოს ჩვენი გვარდიელები „ბურჯუაძეების“ დაქირავებული იყვნენ და თითოეული მათგანი დღეში 30 მან. ღებულობდეს ჯამაგირს. ასეთი ხმა იმიტომაც გავრცელდა ჩვენს ხალხში, რომ ბალშევიკების მიერ შექმნილი წითელი გვარდია მოსკოვსა და პეტერბურგში მართლა ღებულობს დღეში 30 მ. იმათი ეგრედ წოდებული „სახალხო მთავრობიდან“ და ამას გარდა ნაძარცვიც ბევრი მიაქვთ სახლში. ამხ. ზაქარიამ განუმარტა ხალხს, რომ ჩვენი გვარდია სრულებით არავითარ ჯამაგირს არ იღებს, ყველა რწმენის ხალხია და ნამდვილი დამცველი ხალხისა და რევოლიუციისა.

მიტინგი დაიშალა 4 საათზე, ხოლო მიტინგზე მყოფი გვარდიელები მწყობრად და მარსელიოზის სიმღერით გაემართენ არსენალისკენ იარაღის დასაწყობათ.

ნეკი.

**ს. ხორში** (ზუგდიდის მაზრა). 24 თებერვალს მივიღეთ კომისარი ჩხენკელის გამოგზავნილი დეპეშა ბათუმში ჯარის გაგზავნის შესახებ. კომისარმა და კომიტეტმა, იმ წამსვე მიიღეს საჩქარო ზომები საერთო კრების მოსაწვევათ. 25 თებერვალს გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი. წაკითხულ იქნა მიღებული დეპეშა. მომხსენებლად გამოვიდენ: კომიტეტის წევრი დიმიტრი გვასალია, კომისარი ესტატე ცხომარია, სპირიდონ ტყებუჩავა, თადა თაბაგუა და სხვ., რომლებიც მოხსენების შემდეგ მოუწოდებს ხალხს თავისუფლების და სამშობლოს დაცვისკენ. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ხორშის საზოგადოება მხარს ვუჭერთ რა ხავს დემოკრატიულ საფუძველზე ე. ი. უანექსიო და უკონტრიბუციოს, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიცავთ ეროვნულ თვითგამორკვევას ჩვენს საზღვრებში და არავის ნებას არ მივცემთ რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლების გათელვის, ამისთვის ვადგენთ რა თავდაცვის კომიტეტს, ვალდებულათ ვრაცხთ ჩაეწეროს ყველა მოქალაქენი სამშობლოს დასაცავათ“.

დიდი სიხარული დაბადა ამხანაგებში აქაური ბალშევიკების მოწოდებამ, რომლებიც უთითებდენ ხალხს თავისუფლება, სამშობლო განსაცდელშია და უწოდებდენ ხალხს შეკავშირებას, სამშობლოს დაცვას, ოსმალეთის საწინააღმდეგოთ დარაზმვას, თუ ოსმალეთი არ იქნა თანახმა დემოკრატიულ ზავზე, რომელიც აქვს დავალებული სამშვიდობო დელეგაციას.

27 თებერვალს შესდგა ყველა პარტიის წარმომადგენელთა კრება. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: გაითვალისწინეთ რა დღევანდელი მომენტი ჩვენ ყველა პარტიის წარმომადგენელი ვადგენთ შემდეგს: „თუ ოსმალეთი არ დათანხმდა დემოკრატიულ ზავზე, მაშინ ჩვენ ყველანი შეერთებული ძალით, როგორც ერთი კაცი შევებრძოლებით მტერს თავისუფლების და სამშობლოს დასაცავათ. ამისთვის ვადგენთ საერთო ჯარს.

პოლიკარპე ანდრიაძე.

**სოფ. კასპი** (გორის მაზრა). პირველ მარტს სოფელ კასპში გაიმართა მიტინგი, რომელსაც ორი ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ბალშევიკურმა მთავრობამ რუსეთი დაღუპვის გზაზე დააყენა, რომელმაც გამოიწვია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ მოქმედება და საკუთარი სეიმის მოწვევა შინაური ანარქიის მოსასპობათ, გარეშე მტრის მოსაგერებლათ და რევოლიუციის მონაპოვარის შესანარჩუნებლათ, იწონებს ამიერ-კავკასიის სეიმის ნაბიჯებს და ფიცსა სდებს მის წინაშე, რომ დაუღალავად იბრძოლებს, როგორც თავისუფლების დასაცველად, ისე ბათუმ-ყარს-არდაგანის შესანარჩუნებლად, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ფიზიკური არსებობა.

მიწის საკითხი დიდს უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. აი გახედეთ ამ მინდვრებს წინათ თავადების იყო ეხლა ჩვენია, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოგვიხმარია. გვინდოდა გაგვენაწილებია, მაგრამ ამ საგანზე დიდი ექცესები იყო მოსალოდნელი. ყველას კარგი მიწა უნდა და ყველა კარგი არ არის, ამ მიზეზის გამო მოწინავე გლეხებმა შევძლით შევეჩერებია დაყოფვა. მათ აუხსნეს ამხანაგებმა, რომ ამიერ-კავკასიის სეიმმა გადადგა შესაფერი ნაბიჯი მიწის საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად და თუ გარეშე პირობებმა ხელი არ შეუშალათ საჩქაროდ იქნება განხორციელებული.

X.

## ფონდი

მივიღეთ აკეთის კოოპერატივ „თანხმობის“ გამგეობისაგან „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლად 24 მ. 80 კ. იორდანე ლომიძისაგან 9 მ. 50 კ. ივანე ცხომელიძისაგან 50 მ.

„ეშმაკის მათრახის“ ფონდისთვის მივიღეთ: ვ. ქავთარაძისაგან ბორჯომის ამხანაგებს შორის შეგროვილი—287—01, ივანე ჩხაიძისაგან—46 მ. სერ. ჟორჟოლიანისაგან — 50 მ. სულ 383—01.

## ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარისკაცი ვარლამ გიორგის ძე კვაჰაძე ჯურუყვეთის საზოგადოების მცხოვრები მსახურებდა, კავკასიის მომქმედ ჯარში ქართულ მსროლელთა პოლკში, 1 ბატალიონში 4 როტაში. სოუჯ ბულაღში და შემდეგ შარაფხანაში. 6 თვე გადის მას შემდეგ, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცოდეს მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით. სადგური ,,ჯუმათი ყარამან ტუღუში.


ექიმი ბ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ადგილ-ერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. ვაარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამდე. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და პლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი ქალი
რ. ბ. შიოლი-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებოო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
მიხაილოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ეჭ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ეჭ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ეჭ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ ,,ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.


სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა [illegible] რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.